# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№18 (10021) 2026 წლის 13 თებერვალი, პარასკევი





იხ. 3 გვ.

საბოტაჟი სახელმწიფოს წინააღმდეგ და უცხო ქვეყნისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას ნიშნავს. თბილისის საქალაქო სასამართლომ უპრეცედენტო სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო. საბოტაჟის საქმეზე გენერალურმა პროკურატურამ ბრალი ოპოზიციის რვა ლიდერს წარუდგინა.

# ღალატი პოლიტიკური მნიშვნელობით, ანუ ვინ და როგორ მონაწილეობდა საბოტაჟში სახელმწიფოს წინააღმდეგ




## მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე

5

## ეროვნული აკადემია პატივს მიაგებს მეცნიერ ქალბატონებს



9

## ზაალ ბოტკოველი „ქართული სიტყვის მეციხოვნენი“

## საქართველო ყოველ წელს შედეგებს აუმჯობესებს, ანუ სიღარიბის შემცირებამ მუდმივი ფორმა შეიძინა

4

შალვა პაპუაშვილი:

## ევროკავშირი ხელიდან წავიდა!



იხ. 2 გვ.

## რატომ ჩავიდა ჯეიმს ვენსი ერევანში?



იხ. 8 გვ.

## გზააბნეული ტრამპის გზა

## მთავრობამ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტთა მიღების კვოტები დაამტკიცა

2

## საქართველოში პირველი აპრილიდან იკრძალება 6 წელზე მეტი ასაკის M1 კატეგორიის ავტომობილების იმპორტი, პირველადი და დროებითი რეგისტრაცია

მთავრობის სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად, საქართველოში პირველი აპრილიდან იკრძალება 6 წელზე მეტი ასაკის M1 კატეგორიის ავტომობილების იმპორტი, პირველადი და დროებითი რეგისტრაცია, რომელიც იმოქმედებს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული ემისიის (ევრო 5/V) სტანდარტებთან ერთად.

გამონაკლისები ვრცელდება იმ M1 კატეგორიის ავტომობილებზე, რომელთა ტრანსპორტირება დაწყებულია პირველ აპრილამდე ან რომელიც უკვე შემოყვანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. ასეთი ავტომობილების პირველადი რეგისტრაცია მოხდება პირველ აპრილამდე არსებული პირობების შესაბამისად.

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



# პირველი საპრეზიდენტო დონის სტუმრობა საქართველოში

**ზორან მილანოვიჩის საქართველოში სტუმრობა პირველი საპრეზიდენტო დონეზე განხორციელებული ვიზიტია, რომელიც, დამატებით იმპულსს შესძენს ორმხრივი დიალოგისა და კავშირის გაღრმავებას საერთო ინტერესის ყველა სფეროში.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიხეილ ყაველაშვილმა ხორვატ კოლეგას პრეზიდენტის სასახლეში უმასპინძლა.

**პირისპირ გამართულ შეხვედრაზე კოლეგებმა ორმხრივი ურთიერთობის აქტუალური საკითხები, თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივა და მიმდინარე გლობალური პროცესები განიხილეს. ხაზგასმით აღინიშნა არსებული მეგობრული კავშირი, კულტურული სიახლოვე და საერთო ღირებულებები, რაც ურთიერთობათა შემდგომი განვითარების მტკიცე საფუძველია.**

**როგორც მიხეილ ყაველაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, საქართველოსათვის ფასეულია ხორვატიის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს ხორვატიის ტერიტორიულ მთლიანობას.**

კოლეგებმა შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობისა და დარგობრივი მიმართულებით თანამშრომლობის თაობაზეც იმსჯელეს. ხორვატიის პრეზიდენტი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით დელეგაციასთან ერთად იმყოფება.

# ირაკლი კობახიძე ხორვატიის პრეზიდენტს ზორან მილანოვიჩს შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ზორან მილანოვიჩთან პირისპირ შეხვედრა გამართა.**

**„ჩემთვის პატივია, რომ ვუმასპინძლე ხორვატიის პრეზიდენტს ზორან მილანოვიჩს საქართველოში მისი პირველი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში. ჩვენმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოსა და ხორვატიის ურთიერთობების სიმტკიცე და საერთო ერთგულება პარტნიორობის შემდგომი გაღრმავებისადმი“,** – თქვა **ირაკლი კობახიძე.**

მხარეებმა საქართველოსა და ხორვატიას შორის არსებული მჭიდრო პარტნიორობა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველო-ხორვატიას შორის სავაჭრო ურთიერთობების დადებით დინამიკას და ამ მიმართულებით კავშირების გაღრმავების შესაძლებლობებს.

**მხარეებმა ასევე განიხილეს სექტორული თანამშრომლობის პერსპექტივები, მათ შორის, ტურიზმის, კულტურისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების მიმართულებით.**

## ირაკლი კობახიძე:

# 2026 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 36 300 000 000 ლარამდე

**2025 წლის ბიუჯეტი რომ შევაჯამოთ, შესრულდა გადაჭარბებით შემოსავლის ყველა კატეგორიაში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, შემოსულობების ჯამურმა მაჩვენებელმა 32 400 000 000 ლარს გადააჭარბა, რაც იყო გეგმის 100.9%.

**„კონკრეტულად საგადასახადო შემოსავლებიც გადაჭარბებით შესრულდა, რომელმაც 25.5 მლრდ ლარზე მეტი შეადგინა. აქაც გეგმა არის გადაჭარბებით შესრულებული. გასულ წელს ასევე მივაღწიეთ საბიუჯეტო დეფიციტის ისტორიულ მინიმუმს. მან შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 1.4%. ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, შემცირდა მთავრობის ვალის მაჩვენებელი, მისმა მოცულობამ გასული წლის ბოლოსთვის შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 34.4%.**

**მინდა, შეგახსენოთ, რომ 2020 წელს ჩვენმა ვალმა 60%-ს გადააჭარბა. ეს მაჩვენებელი არის ჩამოსული მთლიანი შიდა პროდუქტის 34.4%-მდე. ამ პროცენტული წილის შემცირება არის დაგეგმილი მიმდინარე წელსაც. წლის ბოლოს გვექნება კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელი. 2026 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 36 300 000 000 ლარამდე, რაც გასული წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს 4 300 000 000 ლარით აღემატება. კონკრეტულად ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ცალკე მინდა, აღვნიშნო, წელს 8 მლრდ ლარზე მეტი მიიმართება“,** – განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძემ მადლობა გადაუხადა ფინანსთა მინისტრს ძალიან მნიშვნელოვანი გაწეული სამუშაოსთვის, რისი შედეგიც არის ბიუჯეტის სათანადოდ შესრულება და ახალი ბიუჯეტის სათანადოდ დაგეგმვა.

* * *

**საერთაშორისო ინვესტორებმა დააფიქსირეს რეკორდულად მაღალი 2,8 მილიარდი დოლარის მოთხოვნა ჩვენს ფასიან ქაღალდებზე, რაც შეთავაზებულ ოდენობას 5,5-ჯერ აღემატება, ესეც თავისთავად მეტყველებს მაღალ ნდობაზე.**

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მთავრობამ წარმატებით გამოუშვა 500 მილიონი დოლარის ევროობლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

**„საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 5,125 პროცენტის ოდენობით, რაც არის ევროობლიგაციების გაზრისთვის საუკეთესო მაჩვენებელი, რაც დაფიქსირდა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მსგავსი და ერთი საფეხურით მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე სუვერენული ევროობლიგაციებისთვის, შესაბამისად, ეს არის ის მაჩვენებელი, რომლითაც შეგვიძლია, ვიამაყოთ. საერთაშორისო ინვესტორებმა დააფიქსირეს რეკორდულად მაღალი 2,8 მილიარდი დოლარის მოთხოვნა ჩვენს ფასიან ქაღალდებზე, რაც შეთავაზებულ ოდენობას 5,5-ჯერ აღემატება, ესეც თავისთავად მეტყველებს მაღალ ნდობაზე.**

**უშუალოდ ტრანზაქციაში 100-ზე მეტმა საერთაშორისო ინვესტორმა მიიღო მონაწილეობა. ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ინვესტორები ბევრად ნაკლებრისკიანად აფასებენ საქართველოს და მზად არიან, საქართველოს ფასიან ქაღალდებში 2,8 მილიარდი დოლარის ინვესტირება განახორციელონ, მიუთითებს იმაზე, რომ ძალიან მაღალია ნდობა ჩვენი ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ. ამ შემთხვევაშიც, ფინანსთა მინისტრ ლაშა ხუციშვილს მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

# ევროკავშირი ხელიდან წავიდა!



**ევროპულ კავშირში დღეს მხოლოდ სახელად არის დარჩენილი ევროპა და სხვა მხრივ, მასში სულ უფრო ცოტა რჩება ევროპული,** – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა.

მისივე თქმით, ევროკავშირში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, საუბრობს აშშ, რომელმაც ამ გაერთიანების თავდაპირველი სახით შექმნა უზრუნველყო.

**„სულ უფრო მეტი ადამიანი საუბრობს რეალობაზე, რასაც დღემდე ემალება ევროკავშირის ბიუროკრატიის ნაწილი. ერთი ნაწილი უშუალოდ ჩართულია და არის შემოქმედი ამ კრიზისისა. კერძოდ, მათ ევროკავშირი, მშვიდობის პროექტი აქციეს ზეწოლის, მავნე პოლიტიკური დღის წესრიგის გატარების, არარსებული იდეოლოგიების თავს მოხვევის ინსტრუმენტად. დღევანდელი ევროკავშირი დღევანდელი ბრიუსელის ხელში აცდენილია ყველაფერს, რაც კი შეიძლება ევროპასთან დავაკავშიროთ.**

**ევროპულ კავშირში დღეს მხოლოდ სახელად არის დარჩენილი ევროპა და, სხვა მხრივ, ღირებულებებით, ფილოსოფიით, მიზნებით, სამომავლო ხედვით მასში სულ უფრო ცოტა რჩება ევროპული. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, საუბრობს აშშ., სახელმწიფო, რომელმაც ევროპა და, მათ შორის, ევროკავშირი იმ სახით უზრუნველყო, რომლითაც ის შეიქმნა, გაერთიანება მშვიდობისა და ღირებულებებისთვის.**

**აშშ ახლა ხედავს, რომ დღევანდელი ბიუროკრატიის ხელში ევროკავშირი ხელიდან წავიდა. ასევე, ჩვენ ეს გვესმის ევროკავშირის შიგნიდან, სხვადასხვა ქვეყნის მხრიდან – უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი. ვხედავთ გერმანიაში, საფრანგეთში, სხვა ქვეყნებში სულ უფრო ხმამაღალია ხალხის წინააღმდეგობა ბრიუსელის არარჩეული ბიუროკრატიისადმი. ის, რასაც ჩვენ ვსაუბრობდით რამდენიმე წლის წინ, დღეს კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ დასტურდება. თავის დროზე რასაც ვამბობდით, ეს ყველაფერი იყო სიმართლე“,** – აღნიშნა **პაპუაშვილმა.**

**ცნობისთვის,** რესპუბლიკელმა კონგრესმენმა **ანა პაულინა ლუნამ** განაცხადა: **„ევროკავშირი ხშირად სჯის ქვეყნებს, რომლებიც მის პოლიტიკას არღვევენ, დროა, ბლოკთან კავშირი გავწყვიტოთ და ცალკეული ერების სუვერენიტეტი აღვადგინოთ“.**

იხ. 6 გვ.

# საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტთა მიღების კვოტები დაამტკიცა

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, გივი მიქანაძის განცხადებით, სახელმწიფო უნივერსიტეტებში კვოტები განაწილდება უმაღლესი განათლების რეფორმის კონცეფციით დადგენილი „ერთი ქალაქი – ერთი ფაკულტეტის პრინციპის“ შესაბამისად, არსებითად, უნივერსიტეტების ტრადიციული პროფილის გათვალისწინებით.**

კერძოდ, მინისტრის თქმით, **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში** მიღება გამოცხადდება ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, პედაგოგიკის გამოკლებით; სამართალი; ეკონომიკა და ბიზნესის ადმინისტრირება; სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები.

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში** მიღება გამოცხადდება საინჟინრო-ტექნიკურ დისციპლინებზე.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში** მიღება გამოცხადდება მედიცინის სპეციალობებზე.

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში** მიღება გამოცხადდება პედაგოგიკის პროგრამებსა და ABET აკრედიტაციის მქონე STEM სპეციალობებზე.

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში** – აგრარულ სპეციალობებზე, ქართულ-აფხაზური ენის და ლიტერატურისა და პედაგოგიკის სპეციალობებზე.

**სახელოვნებო უნივერსიტეტები და სპორტის უნივერსიტეტი** სტუდენტებს მიიღებენ შესაბამის სპეციალობებზე.

**ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტები** შეინარჩუნებენ მრავალფუნქციურ დატვირთვას.

**ზუგდიდის, გორის, ახალციხისა და თელავის უნივერსიტეტებში** აქცენტი გაკეთდება აგრარულ სპეციალობებზე, ტურიზმის მიმართულებასა და პედაგოგიკაზე.

იხ. 6 გვ.

## ბრძოლა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ...

**საბოტაჟი სახელმწიფოს წინააღმდეგ და უცხო ქვეყნისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას ნიშნავს. თბილისის საქალაქო სასამართლომ უპრეცედენტო სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო.**

**საბოტაჟის საქმეზე გენერალურმა პროკურატურამ ბრალი ოპოზიციის რვა ლიდერს წარუდგინა — მიხეილ სააკაშვილს, გიორგი ვაშაძეს, ნიკა გვარამიას, ნიკა მელიას, ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს, ელენე ხოშტარიას, მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს.**

**ბრალი 7-დან 15-წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.**




# ღალატი პოლიტიკური მნიშვნელობით,

## ანუ ვინ და როგორ მონაწილეობდა საბოტაჟში სახელმწიფოს წინააღმდეგ

**აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გიორგი ვაშაძეს და ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს, აღკვეთის ღონისძიების სახით — 30 000-ლარიანი, მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს კი — 1 მილიონი ლარის გირაო აქვთ შეფარდებული. არცერთი ბრალდებული ბრალს არ აღიარებს და საქმის პოლიტიკურ ნაწილზე საუბრობენ. ბადრი ჯაფარიძე აცხადებს, რომ წარმოუდგენელი ფაბრიკაციაა და ასეთი პროცესები წარსულში უნდა დარჩეს. აი, ზურაბ ჯაფარიძე თვლის, რომ მიზანია, ყველა, მეტ-ნაკლებად გამორჩეული ლიდერი ერთად დაესვათ სასამართლოზე, ფოტო გავრცელებულიყო და ივანიშვილს ამომრჩევლისთვის ეჩვენებინა.**

**გიორგი ვაშაძე,** რომელმაც გირაოს თანხა 30 ათასი ლარი გადაიხადა, ამბობს, მისთვის გაუგებარია, რა მოხდა ისეთი, რომ ყველა ერთადაა საბრალდებო სკამზე და პროკურატურა საოცარ მუხლებს ედავება. მისი თქმით, საქმეში არცერთი მტკიცებულება არ დევს მისი ურთიერთობისა უკრაინასთან, რომ რამე სახის სამხედრო ინფორმაციას მოიპოვებდა, ან აძლევდა.

აი, **მიხეილ სააკაშვილი** კი ელოდება, რომ დამატებით სასჯელს მიუსჯიან და საბოლოო ჯამში, 16 წელს გაატარებს ციხეში. **„სერიულ მკვლელებს და პედოფილებს უსჯიან ამდენს. ვერასდროს ვეღარ უნდა ვნახო ჩემი შვილები და ვერასდროს უნდა გავიარო სუფთა ჰაერზე იმიტომ, რომ მემატება ის, რაც მემატება?“,** — განაცხადა **მიხეილ სააკაშვილმა,** რომელმაც საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს გაერთიანებისკენ მოუწოდა.

რაც შეეხება **ელენე ხოშტარიას**, ის აცხადებს, რომ ეს არის რუსული რეჟიმის მიერ დასავლეთის გასამართლება, საქვეყნოდ და ღიად. ხოშტარიას განცხადებით, პროდასავლურმა ოპოზიციამ ერთიანად უნდა აჩვენოს, რომ გასამართლებით ვერ დაამარცხებენ ვერც ოპოზიციას და ვერც დასავლეთის იდეას.

**„ამ ე.წ. „საბოტაჟის“ საქმეში მთავარი ის კი არ არის, ვის როდის გამოუშვებენ, შეაბრუნებენ, დაიბარებენ, მთავარია, რომ ეს არის რუსული რეჟიმის მიერ დასავლეთის გასამართლება, საქვეყნოდ და ღიად. დასავლეთის მტრად გამოცხადება და საქართველოში მისი ვითომ დამარცხება, ოპოზიციის სახით.**

**აქედან გამომდინარე, აზრი არ აქვს, ამ საქმეში რამე ინდივიდუალური სამართლებრივი განზომილებების ძებნას. პროდასავლურმა ოპოზიციამ ერთიანად უნდა ანახოს, რომ ეს პროცესი დამთავრდება კრახით, რადგან ე.წ. გასამართლებით ვერ დაამარცხებენ ვერც ოპოზიციას და ვერც დასავლეთის იდეას. ქართული ოპოზიცია იქნება რეალური მტრისგან, რუსეთისგან დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზღუდე. ეს პასუხისმგებლობაა ახლა ჩვენზე.**

**მხოლოდ ბედნიერი ვიქნები, თუ ივანიშვილის დასანქცირებაში 1% მაინც არის ჩემი წვლილი. ასევე, ბედნიერი ვარ, რომ, როგორც იქნა, ყულევის ტერმინალზე დასავლეთიც საუბრობს. შეუძლებელია, არ გავუწიოთ ყველანაირი წინააღმდეგობა ტერორიზმს, რასაც რუსეთი უკრაინაში სჩადის და მათ დამხმარე „ქართული ოცნების“ რუსულ რეჟიმს. დღეს სწორედ ამაზე გადის სახელმწიფოს დაცვა და მორალური გადარჩენაც. ერთიანად უნდა შევუტიოთ რეჟიმს სიტყვით და საქმით, მათ შორის, ამ პოლიტიკურ პროცესზე! ბოლომდე!“,** — განაცხადა **ელენე ხოშტარიამ.**

ე.წ. საბოტაჟის საქმის პროკურორი განმარტავს, რა მტკიცებულებების საფუძველზე წარედგინა ბრალდება რვა პოლიტიკოსს. **ლაშა კოტრიკაძე** ამბობს, როგორც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ისე ძალაში შესული განაჩენებით დადგენილია, რომ ხუთი დღის განმავლობაში, რუსთაველის გამზირზე ადგილი ჰქონდა მასშტაბურ ძალადობას — ცეცხლი გაუჩნდა პარლამენტის შენობასა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, დაზიანდნენ ადამიანები და მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, როგორც მუნიციპალიტეტს, ისე პარლამენტის შენობას. პროკურორის თქმით, საქმე სამი მუხლით არის კვალიფიცირებული.

**„ეს კონკრეტული საქმეები უკავშირდება სამ მუხლს. პირველი არის საბოტაჟი, როდესაც ყველა ბრალდებული იყო აქციაზე და საქვეყნოდ ჰქონდათ გარკვეული მოწოდებები, რომლებიც ჩვენი აზრით, შეიცავდნენ დანაშაულის ნიშნებს. ამის პარალელურად, მოქმედებს შემდეგი ჯგუფი, ეს არის ე.წ. სანქციების თემა, რაც არის 319-ე მუხლი და მესამე მუხლი ეს არის საბოტაჟის მატერიალური მხარდაჭერა. შესაბამისად, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულებისთვის მიგვითითებდა იმისკენ, რომ წარმართულიყო ერთიანად.**

**სხვათა შორის, არც ბრალდებულებს და არც ადვოკატებს, არ ჰქონიათ რამე შუამდგომლობა, როდესაც მოსამართლემ შესაბამისი კითხვა დასვა. გარდა ამისა, ამას ემატება კონკრეტული პირების ჩვენებები, რომლებიც აქციაზე იმყოფებოდნენ. ყველაფერი ერთობლიობაში და დამდგარი შედეგის გათვალისწინებით გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს ბრალდება წარვუდგინოთ“,** — აცხადებს **ლაშა კოტრიკაძე.**

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ამ პოლიტიკოსების საქციელი შეიძლება შეფასდეს, როგორც ღალატი პოლიტიკური მნიშვნელობით, როდესაც ცდილობ, გამოიწვიო ხან ბომბების, ხან სანქციების, ხან განცხადებების წვიმა, როდესაც შენს ქვეყანას ებრძვი, ასეთ შემთხვევაში, **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, ამ ქვეყნის მოწინააღმდეგე და მტრული პოლიტიკის გამტარებელი ხარ. მისი თქმით, პოლიტიკური სასჯელი მათ უკვე მიღებული აქვთ, რაც არჩევნებზეც გამოიხატა.

**„ისტორიაში ნანახი გვაქვს, რომ როდესაც ქართველი სხვაგან გარბის იმისთვის, რომ იქ რაზმი შეკრა და შენი ხელისუფლება გადააგდო და ძირი გამოუთხარო ყველაფერს, ამას ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთში ღალატი ერქვა. ეს ხალხი, ვინც ამას სჩადიოდნენ — ბაღვაშები, ლიპარიტები, ორჯონიკიძეები და სხვები, ყველას საზოგადოებამ პოლიტიკური განაჩენი გამოუტანა და მოღალატე დაუძახა.**

**ამას უნდა შეეგუონ, როცა სხვაგან გარბიხარ, რომ უცხო გამოიყენო შენის წინააღმდეგ, უცხოს გამომყენებელს მოღალატე გქვია. ეს გზა აირჩიეს და პოლიტიკურად ასეა შეფასებული“,** — განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** ამბობს, რომ არ იცის, რა გაგრძელება ექნება, მაგრამ აუცილებლად უნდა მივიდეს სახელმწიფო იმ გადაწყვეტილებამდე, რომ სტრატეგიულ ობიექტებს მოუხსნას სტატუსი, რადგან მისი თქმით, ეს იყო ორგანიზებული დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედება, რომელშიც მონაწილეობდა, როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო და საპრეზიდენტო ხელისუფლება.

**„თავის დროზე რომ ამის აღკვეთა განგვეხორციელებინა და იმ საქმეების გამოძიება დაგვეწყო, ის ადამიანები ვერ შექმნიდნენ იმ დესტრუქციულ ფონს. ისიც მესმის და ვაღიარებ იმას, რომ ხელისუფლება იძულებული იყო ძალიან ბევრი ნაბიჯი აქტიურად ვერ გადაედგა იმიტომ, რომ ეს იყო ძალიან დიდი ზეწოლა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგჯერ, ალბათ, რაღაცის გარისკვა ღირდა. ვფიქრობ, რომ თუ აქამდე არ მივალთ, კიდევ ძალიან ბევრი რამ გამოჩნდება. ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი გადაწყვეტილება მიღებული ჯგუფური სიმბიოზით, რომელმაც დააზიანა ქვეყნის ეროვნული ინტერესები“**, — აცხადებს **დავით კუხალაშვილი.**

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი განმარტავს, რომ თუკი ხელისუფლება შეისწავლის ჯგუფურად მიღებულ სიმბიოზურ გადაწყვეტილებას, ასეთ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, საბოტაჟის საქმეზე გაიზრდება ბრალდებულთა წრე.

**„ყველა ის ადამიანი, რომელიც დღეს უდანაშაულოდ წარმოადგენს თავს და ეს არის სხვადასხვა პერიოდის პოლიტიკური ელიტები, დამერწმუნეთ, ამ მასალების გამოქვეყნების და მასზე სამართლებრივი რეაგირების შემთხვევაში, მათ უბრალოდ საერთოდ არ ექნებათ შესაძლებლობა, გამოვიდნენ საზოგადოების წინაშე. შეიძლება, საქართველოშიც ვერ იცხოვრონ. თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება და წავიდნენ უცხო სახელმწიფოში, თუკი სახელმწიფო მისცემს ამის უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია აღმოჩნდნენ საპატიმროში. არ ვიცი, რა უშლის ხელს სახელმწიფოს და რატომ არ მიდის ამ მიმართულებით“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **დავით კუხალაშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**

**საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში იშვიათია მომენტი, როდესაც ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირი — პრემიერ-მინისტრი და ეკონომიკის მინისტრი პირდაპირ ეთერში, ყოველგვარი წინასწარი ფილტრების გარეშე, ოპოზიციისა და ბიზნესსექტორის კრიტიკულ შეკითხვებს პასუხობენ. „რუსთავი 2-ზე“ 9 თებერვალს გამართული დებატების მეორე რაუნდი, სადაც ირაკლი კობახიძე და მარიამ ქვრივიშვილი ოპონენტებს დაუპირისპირდნენ, სწორედ ასეთი, მრავალმხრივ საინტერესო მოვლენა აღმოჩნდა.**




# ქუჩიდან ტელესტუდიაში მიპატიჟებული ოპოზიცია

## დებატები, როგორც ხელისუფლების დივიდენდი

**ამ ნაბიჯით მმართველმა გუნდმა სცადა, ეჩვენებინა ღიაობა და კომპეტენტურობა. პრემიერის მხრიდან პირდაპირ ეთერში დაჯდომა არის სიგნალი ამომრჩევლისთვის, რომ ხელისუფლებას არ ეშინია კრიტიკის და აქვს არგუმენტები ნებისმიერ მტკივნეულ საკითხზე, მათ შორის, ფასების ზრდასა და ეკონომიკურ პოლიტიკაზე.**

ეს ფორმატი ხელისუფლებას სძენს „კონსტრუქციული ძალის“ იმიჯს, რომელიც მზად არის დეპოლარიზაციისთვის. როგორც თავად ირაკლი კობახიძემ აღნიშნა:

**„ჯანსაღი დისკუსიები არის მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს ჯანსაღი ურთიერთობები, მათ შორის, პოლიტიკურ სპექტრში... გუშინ, მთლიანობაში, 8 მონაწილე ვიყავით დებატებში და 8-დან 7-მა გამოავლინა მაღალი კულტურა, რაც არის მნიშვნელოვანი არა მარტო იმისათვის, რომ ჯანსაღი ფორმით წარიმართოს დისკუსიები, არამედ იმისთვისაც, რომ ხელი შევუწყოთ საზოგადოებაში დეპოლარიზაციას“**, — განაცხადა **კობახიძემ.**

მმართველი გუნდის წევრები, მათ შორის, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი **ცოტნე ანანიძე**, თვლიან, რომ ოპოზიციის მოლოდინი არ გამართლდა:

**„სანამ ოპოზიცია პრემიერის ინიციატივას დებატებზე ფარსად აფასებდა, თავად ინიციატორისგან მიიღეს ღიაობა, პროფესიული კომპეტენცია და მაღალი ინფორმირებულობა“**, — განაცხადა **ანანიძემ.**

## ეკონომიკური ალტერნატივები და კრიტიკა

**მიუხედავად დებატების ფორმატის მოწონებისა, ოპოზიცია ძირითად აქცენტს მაინც შინაარსობრივ განსხვავებებზე აკეთებს. მათთვის ეს იყო პლატფორმა, რათა ეჩვენებინათ, რომ არსებობს ფასების ზრდასთან ბრძოლის სხვა გზები.**

პარტია „გირჩის“ წევრი **ალექსანდრე რაქვიაშვილი** გამოსავალს მონეტარულ პოლიტიკაში ხედავს:

**„ძალიან საინტერესო დებატები იყო. მე იმედი მაქვს, რომ ამომრჩეველმა დაინახა განსხვავებული აზრი და თვითონ შეიძლება გამოიტანოს აზრი, ვინ იყო მართალი ამ დისკუსიაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ მთავრობა შეცვლის თავის მიდგომას და ეროვნული ბანკისკენ გადაიტანს ყურადღებას, პრობლემა მართლა მოგვარდება. კონსტიტუციაში გვიწერია, რომ საბოლოო ჯამში ეროვნული ბანკია პასუხისმგებელი ფასების სტაბილურობაზე“**, — ამბობს **რაქვიაშვილი.**

ხოლო ფრაქცია „საქართველოსთვის“ წევრს **ტატა ხვედელიანს** ხელისუფლების მოტივებში ეჭვი შეაქვს და სოციალურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს:

**„ფასები არის გაზრდილი, უმძიმეს მდგომარეობაში არის ჩვენი ქვეყანა, მაგრამ „ოცნების“ მიზანი არ არის ამ ფასების ნორმალიზება... ისინი რომ მოსახლეობის შველაზე ფიქრობდნენ, განიხილავდნენ კანონპროექტს, რომელიც ჩვენ წარვადგინეთ მინიმალური ხელფასის შესახებ“**, — თქვა **ხვედელიანმა.**

ფაქტი, რომ პრემიერი თავად ჯდება პირდაპირ ეთერში და არ არიდებს თავს მწვავე კითხვებს, ქართული პოლიტიკური კულტურისთვის მართლაც იშვიათი პრეცედენტია. ეს მიუთითებს პოლიტიკური პასუხისმგებლობის ახალ დონეზე — როდესაც ლიდერი მზად არის, „პირველწყაროდან“ გასცეს პასუხი ხალხის სატკივარს.

## ამომრჩეველზე გავლენა

**ანალიტიკოსების თქმით, ამომრჩეველი აფასებს არა მხოლოდ ნათქვამ სიტყვებს, არამედ გამბედაობას, შეხვიდე დისკუსიაში ოპონენტთან. ასევე, მაყურებელს ეძლევა საშუალება, შეადაროს ორი რადიკალურად განსხვავებული ხედვა: ხელისუფლების რეგულაციების პოლიტიკა და ოპოზიციის საბაზრო თუ სოციალური ინიციატივები.**

შესაბამისად, მათი აზრით, დებატების ეს რაუნდი იყო მცდელობა, პოლიტიკური ბრძოლა ქუჩიდან და ურთიერთბრალდებებიდან პროფესიულ სივრცეში გადასულიყო. ოპოზიციამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ეს შანსი საკუთარი პროგრამების წარმოსაჩენად, ხოლო ხელისუფლებამ დაპირებების რეალურ ქმედებებად ქცევის დასამტკიცებლად.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** for.ge-თან ამბობს, რომ ხელისუფლებამ და განსაკუთრებით, პრემიერმა ირაკლი კობახიძემ, თავდაჯერებულობასთან ერთად, აჩვენა მზაობა, რომ მას შეუძლია ქვეყანაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ღიად ისაუბროს და მათი გადაჭრის გზებზე საზოგადოებას პოზიცია გააცნოს.

**„ქვეყანაში არსებობს პრობლემები და უპრობლემო ქვეყანა არ არსებობს. ხელისუფლების მხრიდან ამის აღიარება და ამ პრობლემების მოგვარებაზე საუბარი უპრეცედენტო ფაქტია. წარმოიდგინეთ, ხელისუფლება ეხვეწებოდეს და სთავაზობდეს ოპოზიციას: მოდით, მობრძანდით და ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე ღიად ვისაუბროთო. ეს საკითხები, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, საზოგადოებასთან კონსულტაციების, დისკუსიებისა და დებატების შედეგად უნდა გადაწყდეს.**

**ამის უდიდესი დამადასტურებელი ფაქტი იყო ის, რაც პირდაპირ ეთერში ვიხილეთ. პრემიერი გამოვიდა და პირდაპირ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ უნდა მოაგვაროს ქვეყანაში არსებული ფასების პრობლემა. საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდა ლევან გოგიჩაიშვილი, გახარიას გუნდის წევრი, რომელმაც ელემენტარული კულტურა და ეთიკის ნორმები ვერ შეინარჩუნა, ბოლომდე ვერ გაძლო, რომ ცივილიზებულ ნორმებში ჩამჯდარიყო. სამწუხაროა, თუმცა კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა სახის ოპოზიცია გვყავს და როგორი უსუსურები არიან დისკუსიასა და დებატებში“**, — ამბობს **გვენეტაძე.**

კითხვაზე, რამდენად შეიძლება ამ დისკუსიებმა ხელი შეუწყოს ქვეყანაში არსებული პოლარიზებული პოლიტიკის დეპოლარიზაციას, გვენეტაძე ამბობს, რომ ხელისუფლების ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს არის.

**„პრემიერმა სწორედ უნივერსიტეტებთან შეხვედრის შემდეგ, რომელსაც მეც ვესწრებოდი, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი, მოისმინა ჩვენი არგუმენტები და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს ორი უნივერსიტეტი არ გაერთიანებულიყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ პრემიერი კობახიძეა სწორედ ის ფიგურა, რომელსაც შეუძლია, ქუჩაში მორბენალი და ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელი ოპოზიცია ტელეეთერის სტუდიაში მიიწვიოს, დასვას და კონსტრუქციულად ესაუბროს. აი, ეს არის სახელმწიფო და მისი მეთაური პრემიერი.**

**ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს ამ ოპოზიციის სკეპტიციზმი დებატებთან დაკავშირებით, ვითომ ხელისუფლებამ ეს თემა სპეციალურად შემოაგდო, რაღაც პოლიტიკური ქულებისთვის და ა.შ. აღმოჩნდა, რომ ეს სრული ფარსია, რადგან ფაქტი სახეზეა: ბოლოს ამ ოპოზიციასვე მოუწია აღიარება, რომ თუკი დებატებში არ დასხდებიან, მათი პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება“**, — აცხადებს ანალიტიკოსი.

დასრულდა დრო, როცა ქუჩაში დაწრიალობდნენ და პოლიციელების ცოცხლად დაწვას ცდილობდნენ. ქართველ ხალხს არ სჭირდება ასეთი პოლიტიკა და პოლიტიკოსები, ამიტომ ისინი იძულებულები არიან, დასხდნენ ხელისუფლების პირისპირ და დაიწყონ დებატები, სხვაგვარად კი პოლიტიკური ველიდან გაქრებიან.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# საქართველო ყოველ წელს შედეგებს აუმჯობესებს,

## ანუ სიღარიბის შემცირებამ მუდმივი ფორმა შეიძინა

**საქართველოში სიღარიბის დონის შემცირებას, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები ადასტურებენ. მდგომარეობა წლიდან წლამდე უმჯობესდება. ახლახან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ „სამუშაო სიღარიბის“ ინდექსი გამოაქვეყნა. მათი შეფასებით, საქართველოში, 2025 წელს დასაქმებულთა შორის, სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მყოფი პირების დონე ახალ ისტორიულ მინიმუმადე შემცირდა და 1.4%-ს გაუთანაბრდა.**

**გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ორ წელიწადში სამუშაო სიღარიბე 2.5-ჯერ, 2012 წელთან შედარებით კი — 10-ჯერ არის შემცირებული. ინდექსი გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნების მაჩვენებელია და გამოხატავს სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მყოფი დასაქმებულების რაოდენობას.**

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა **2000 წლიდან 2024 წლის ჩათვლით მაჩვენებლები. ირკვევა, რომ საქართველოში სამუშაო სიღარიბის მკვეთრი შემცირება 2012 წლიდან დაიწყო. 2000-2003 წლებში, სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა საშუალოდ იყო დასაქმებულთა 19%, ვითარება პრაქტიკულად არ შეცვლილა 2004-2012 წლებში, რა დროსაც 17%, ანუ საშუალოდ ყოველი მეექვსე დასაქმებული, სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა იმყოფებოდა.**

სიტუაცია არსებითად შეიცვალა **2013-2024 წლებში. ამ პერიოდში, „სამუშაო სიღარიბის დონე“ საქართველოში საშუალოდ 6%-ს გაუთანაბრდა. ბოლო, ანუ 2025 წლის შეფასებით კი, ქვეყანაში, სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს**



**მიღმა, დასაქმებულთა 1.4%-ია დარჩენილი, რაც საქართველოს ახალი ისტორიული მინიმუმია.**

მოსახლეობის შემოსავლების ზრდას ადასტურებს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძეც.** ტელედებატებში გამოსვლისას, მან ყურადღება გაამახვილა, ერთი მხრივ, საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, ხოლო მეორე მხრივ, სოციალურ პასუხისმგებლობაზე მათ მიმართ.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სიღარიბის შემცირებაზე, პირველ რიგში, გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდა.

**„ჩვენ შარშანაც შევძელით ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნება. შარშანდელი მონაცემებით, 7.5% იყო მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი და ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მცირდება სიღარიბე. თქვენ იცით, რომ 2012 წელს, სიღარიბის მაჩვენებელი იყო 30%, ეს ნიშნავს იმას, რომ მილიონ ასი ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარს მიღმა, ახლა ეს მაჩვენებელი (2024 წლის მონაცემებით) არის 9.4%. ველოდებით 2025 წლის მაჩვენებელს. ვფიქრობთ, რომ შემცირებული იქნება საერთო კრიტერიუმების მიხედვით. ჩვენი მთავარი ამოცანაა, სიღარიბის მთლიანად აღმოფხვრა, განულება ჩვენს ქვეყანაში და ვფიქრობთ, რომ ამისათვის დაგვჭირდება რამდენიმე წელიწადი იმ ტემპების გათვალისწინებით, რაც გვაქვს ეკონომიკური ზრდის კუთხით“**, — განაცხადა პრემიერმა.

ვითარების გაუმჯობესებაზე საუბრობს ქვეყნის მთავარი სტატისტიკოსიც. „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორის **გოგიტა თოდრაძის** შეფასებით, სოციალური კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი სიღარიბის დონის შემცირებაა.

**„აბსოლუტური სიღარიბის დონე 2.4 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული და 9.4%-ს შეადგენს 2024 წლის მდგომარეობით. ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები, რომლებიც ორ პარამეტრს აერთიანებს — მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ და 40%-ის მიმართ — ამ შემთხვევაშიც კლების ტენდენციაა. რაც შეეხება შემოსავლების დიფერენციაციის ზომას, ჯინის ინდექსი, რომელიც ნულიდან ერთამდე მერყეობს (მოგეხსენებათ, თუ ახლოს არის ნულთან, ე.ი. შემოსავლები თანაბრადაა განაწილებული, რაც უფრო ახლოსაა ერთთან, აბსოლუტურ უთანაბრობას გვიჩვენებს), ჩვენს შემთხვევაში, გახლავთ 0.35 და მცირედით, ძალიან მცირედით არის გაუმჯობესება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით“**, — აღნიშნა „საქსტატის“ აღმასრულებელმა დირექტორმა.

**ბექა დანელია**



**11 თებერვალი „გაეროს“ მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღედ 2015 წლის 22 დეკემბერს გამოაცხადა. ამ დღის მიზანია მეცნიერებით დაინტერესებული ქალთა ხელშეწყობა და მეცნიერების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სისტემაში მათი მზარდი როლის მხარდაჭერა.**

# ეროვნული აკადემია პატივს მიაგებს მეცნიერ ქალბატონებს



თამარ ლომინაძე



ლიანა მელიქიშვილი



ნანა ბოლაშვილი

საქართველოს მართლაც არაერთი გამორჩეული და გამოჩენილი ქალი მეცნიერი ჰყავს, რომლებმაც ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე მრავალჯერ ასახელეს. ამის ნათელი დადასტურებაა 100 წელს მიტანებული აკადემიკოსების **მზექალა შანიძისა** და **ეთერ ქემერტელიძის** ღვაწლი.

2026 წლის 11 თებერვალს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა გამოჩენილ მეცნიერ ქალთა და გოგონათა აკადემიის საპატიო სიგელით დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება, რომელიც შესავალი სიტყვით აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** გახსნა. ღონისძიებას სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად ასევე ესწრებოდნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი **გივი მიქანაძე**, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი **ვლადიმერ ბოჟაძე,** საქართველოს ქალთა საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი **ქეთევან გაბრუაშვილი** და სხვ.

**„ამ დარბაზში ესწრება ისეთი კონტინგენტი, ვისაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქვეყნის განვითარებაში. სახელმწიფოს მხრიდან წლიდან წლამდე მხარდაჭერა ხორციელდება და უფრო მეტი აქტივობა იქნება ჩვენი მხრიდან. ამის ნათელი მაგალითია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობა ქალ მეცნიერებს, რომლის მეშვეობით მათ საკმაო გრანტები გადაეცემათ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას საიუბილეო, 85 წელი უსრულდება, რასაც ჩვენ სათანადოდ აღვნიშნავთ“,** – განაცხადა ბატონმა **გივი მიქანაძემ.**

მან ასევე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ეს დღე და მეცნიერების სფეროს განვითარებაში ქალთა ფასდაუდებელ წვლილზე ისაუბრა.

თავის გამოსვლაში საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრმა ვლადიმერ ბოჟაძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მიზანშეწონილია წავახალისოთ ქალი მეცნიერები და პარლამენტის წევრები მათ ყოველმხრივ მხარს უჭერენ.

აღსანიშნავია, რომ აკადემიას წლებია ყოველმხრივ ეხმარება საქართველოს ქალთა საბჭო, რომლის აღმასრულებელი დირექტორი **ქეთევან გაბრუაშვილი** აქტიურად თანამშრომლობს და ყოველმხრივ ხელს უწყობს ქალ მეცნიერებს. თავის გამოსვლაში ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ – **„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ამ დღის აღნიშვნა უკვე რამდენიმე წელია ტრადიციულ ხასიათს ატარებს და ხაზგასმით ადასტურებს აკადემიის ღიაობას ახალგაზრდა თაობისადმი. განსაკუთრებით იმ მეცნიერი ქალებისა და გოგონების მიმართ, რომლებიც სამეცნიერო საქმიანობას აქტიურად უკავშირებენ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას.**

**დღევანდელი ღონისძიების ფარგლებში შერჩეული ახალგაზრდა და გოგონა მეცნიერების დაჯილდოება წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალური მიღწევების აღიარებას, არამედ სამეცნიერო მემკვიდრეობის უწყვეტობისა და თაობათა შორის ინტელექტუალური დიალოგის განმტკიცების სიმბოლურ აქტს“.**

ღონისძიებაზე სიტყვით ასევე გამოვიდნენ აკადემიკოსი **რამაზ შენგელია** და წევრ-კორესპონდენტი **ნანა ბოლაშვილი.**

2026 წლის 11 თებერვალს, გაეროს მიერ დაწესებულ მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით დაჯილდოებულ იქნენ:

1. აკადემიკოსი **ლიანა მელიქიშვილი** – საქართველოსა და აღმოსავლური ქვეყნების ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ქართული ხელოვნების ისტორიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ნანა ბოლაშვილი** – გეოგრაფიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
3. ფიზიკის დოქტორი **ნინო ჩხეიძე** – ასტროფიზიკის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
4. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **თამარ ლომინაძე** – ინფორმატიკის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
5. გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი **გულიზა ლიპარტელიანი** – გეოგრაფიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
6. ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი **ნინო წიკლაური** – ბიოტექნოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
7. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი **ნანული დოლაბერიძე** – ქიმიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
8. მედიცინის აკადემიური დოქტორი **სოფიო კრაველიშვილი** – სტომატოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
9. ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი **ნონა მიქაია** – ზოოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
10. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი **მარიამ ლაშხი** – ბიზნესის ადმინისტრირების დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
11. ფილოლოგიის დოქტორი **სალომე გედუჰაძე** – ფილოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
12. **ნელი ქაფიანიძე** – ქართული ენციკლოპედიის გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის;
13. **მზია ბოლქვაძე** – „რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის“ მორიგი ტომისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესიტყვებათა ლექსიკონის მომზადებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**



# გივი მიქანაძემ ქალ მეცნიერებს პროფესიული დღე მიულოცა

**11 თებერვალს მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ წარმატებული ქალი მეცნიერები დააჯილდოვა.**

**„ეს ჯილდო არის ჩვენი მადლიერების, აღიარებისა და პატივისცემის ერთგვარი გამოხატულება – ქალ მეცნიერთა დაუღალავი შრომის მიმართ, რომელიც ქვეყნის პროგრესსა და უკეთეს მომავალს ემსახურება. ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია მეცნიერებისა და განათლების სფეროში ქალებისთვის კიდევ უფრო მეტი მხარდამჭერი ინიციატივის განხორციელება. ამას ადასტურებს ისიც, რომ ბოლო წლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსებში ბოლო 5 წლის განმავლობაში ქალ მეცნიერთა 2 700-მდე პროექტი დაფინანსდა. მათი მიღწევები და ინოვაციური ხედვა აძლიერებს სამეცნიერო სფეროს, ქმნის ახალ შესაძლებლობებს და უკეთესობისკენ ცვლის ჩვენი ქვეყნის მომავალს“,** – განაცხადა გივი მიქანაძემ.

მინისტრთან ერთად მეცნიერებს საპატიო ჯილდო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა **თეიმურაზ დოჭვირმა** გადასცა.

მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდნენ: **ნინო კობაური, მარეხ მაზანაშვილი, თინათინ ტყემალაძე, მარიკა თედორაძე, ია მოსაშვილი, ელზა ჯინჭარაძე, ნინო წულაია, ნინო ბერიძე** და **ნათელა ბაღათრიშვილი. 11 თებერვალს მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად, 2015 წლიდან აღინიშნება. მისი მიზანია მეცნიერებით დაინტერესებულ ქალთა ხელშეწყობა და მეცნიერების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სისტემაში მათი მზარდი როლის მხარდაჭერა.**

# სტუმრად 104 წლის მეცნიერთან...



**პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ლაშხი, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრ გივი მიქანაძესთან ერთად ცნობილ ქართველ მეცნიერს ელენე აბაშიძეს ესტუმრა და მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე მიულოცა,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტი ავრცელებს.

**„ელენე აბაშიძის ცხოვრების გზა და მოღვაწეობა ჩვენი მომავალი თაობისთვის, უამრავი გოგონასა და ქალისთვის გამორჩეული და მნიშვნელოვანი მაგალითია. აღსანიშნავი და საამაყოა, რომ ქალი, რომლის სამეცნიერო საქმიანობა მსოფლიომ არაერთხელ აღიარა, დღესაც ასეთი შემართებითაა“,** – განაცხადა **მარიამ ლაშხმა.**

ელენე აბაშიძე არის გეოგრაფი, სპელეოლოგი, ჰიდროლოგი და ჰიდროგეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი. მისი სამეცნიერო კვლევები აღიარებულია როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. **ელენე აბაშიძის სადოქტორო ნაშრომი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ შეფასდა, ხოლო თავად ავტორი დაჯილდოებულია მეცნიერ ქალთა ნამუშევრებს შორის მინიჭებული „წლის ქალის“ საპატიო წოდებითა და შესაბამისი სიგელით.**



# ევროკავშირი ხელიდან წავიდა!

(მეორე გვერდიდან)

**ქართველ ხალხს კარგად ემახსოვრება, როგორ მოიქცნენ ის ადამიანები, რომელთაც ყველანაირად ვემეგობრეთ, მათ კი წვრილმან საააკაშვილებსა და წვრილმან პოლიტიკურ ინტრიგებში გაგვცვალეს,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა.

მისი თქმით, პროცესი, რომელიც სანქციების თემას მოჰყვა, დიდი ლუსტრაციის ეტაპი იყო, გამოჩნდა, ვინ არის მეგობარი და ვინ – არა.

**„რაც შეეხება სანქციებს, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა ჰქონდა, გაგვერკვია, ვინ არის ჩვენი მეგობარი და არამეგობარი. ამ მხრივ ეს პროცესი დიდი ლუსტრაციის ეტაპი იყო, რაც ვიხილეთ. ყველაფერი კარგად გამოჩნდა. ბალტიელების ქცევა ვნახეთ, როგორი იყო ქართველი ხალხის მიმართ. ეს ის დასკვნებია, რომლებიც ქართველმა ხალხმა გააკეთა, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნების ხელისუფლებების თაობაზე, რომელთაც წლები და ბევრი ხელისუფლების ცვლა დასჭირდებათ, რომ ქართველების გული კიდევ ერთხელ მოიგონ. სამწუხაროდ, ის დანა, რომელიც ზოგიერთმა ხელისუფლებამ ზურგში ჩაგვარტყა, რა თქმა უნდა, გვემახსოვრება. ქართველ ხალხს კარგად ემახსოვრება, როგორ მოიქცნენ ის ადამიანები, რომელთაც ყველანაირად ვემეგობრეთ – ძმობა, პარტნიორობა და გვერდში დგომა ვაჩვენეთ, მათ კი წვრილმან საააკაშვილებსა და წვრილმან პოლიტიკურ ინტრიგებში გაგვცვალეს.**

**იმ ხალხმა, ვინც ჩვენთან ერთად ერთ სახელმწიფოში იყო საბჭოთა კავშირის დროს, კიდევ უფრო მეტი ზიანის მოყენება განიზრახა, ვიდრე სხვებმა. სანქციებს მნიშვნელოვანი ლუსტრაციის ეფექტი ჰქონდა და ამას კარგად ვხედავთ. მათ შორის, ბრიუსელის ამ ქცევამ ქართველ ხალხს დაანახა, რომ ღირებულებებსა და ბრიუსელს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. ეს არის პოლიტიკური დღის გამტარებელი ინსტიტუცია. ზოგიერთს რომ ვუყურებ ბრიუსელსა და ზოგიერთ დედაქალაქში, სანქციები კი არა, მათი ნება რომ იყოს, საქართველოში ტანკსაც შემოიყვანდა დემოკრატიის დასამყარებლად. საშუალება არ აქვთ, თორემ ზოგიერთს ჭკუა არ მოეკითხება. ვატყობთ, ზოგიერთი ამის გამკეთებელიცაა“...**

* * *

**ეპშტეინის სკანდალის გამო ვხედავთ სხვადასხვა პირის ერთი მეორის მიყოლებით გადადგომას. ასე რომ, ყველამ თავის ეპშტეინის კუნძულს მიხედოს,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა.

* * *

**„იმ სკანდალის ფონზე, რომელიც ეპშტეინის და მის კუნძულთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მჟღავნდება, ვხედავთ ერთი მეორის მიყოლებით გადადგომებს სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირის, დიპლომატების როგორც აშშ-ში, ისე ევროპის ქვეყნებში.**

**ამის ფონზე როდესაც გვესმის კრიტიკა ადამიანებისგან, რომლებიც ამ პოლიტიკური ლანდშაფტის ნაწილი არიან, რა თქმა უნდა, ერთადერთი პასუხი, რაც ჩნდება, არის ის, რომ ყველამ თავის ეპშტეინის კუნძულს მიხედოს. ძალიან მძიმეა, რასაც ვუყურებთ, ის, რაც ცხადდება ახლა, რომ მთელი პოლიტიკური ელიტა ჩართული იყო. ეს უკვე აღარ არის ცივილიზაციური უფსკრული, ეს არის ადამიანური უფსკრული, სადაც თურმე მთელი პოლიტიკური ელიტის დიდი თუ მნიშვნელოვანი ნაწილი, მნიშვნელოვანი პირები იყვნენ ჩართული.**

**ახლახან ვნახეთ, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის უფროსი გადადგა თუ გადააყენეს სწორედ იმის გამო, რომ მასაც რაღაც კონტაქტები ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში მისი რეკომენდაციით იყო დანიშნული ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც ეპშტეინის ფაილებში იძებნება. ჩვენ რასაც ვაკვირდებით, განსაკუთრებით ევროპაში, ეს არის არა მხოლოდ ცივილიზაციური უფსკრული, არამედ ადამიანური, საიდანაც შემდეგ გვესმის კრიტიკა საქართველოსთან დაკავშირებით. ასე რომ, ყველამ თავის ეპშტეინის კუნძულს მიხედოს“,** – დასძინა **პაპუაშვილმა.**

# მთავრობამ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტუდენტთა მიღების კვოტები დაამტკიცა

(მეორე გვერდიდან)

## უნივერსიტეტებში სტუდენტთა გამონაკლისის სახით ჩარიცხვა ორ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი

**დადგენილ კვოტებზე დამატებით სტუდენტთა მიღება გამონაკლისის სახით შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში:**

**თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ბოლო ადგილზე მოხვდა თანაბარი ქულების მქონე ორი ან მეტი სტუდენტი;**

**თუ საქართველოს დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე განაცხადებენ სწავლის სურვილს სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე.**

**„უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის მთავარი მიზანია, ქართველმა სტუდენტმა საქართველოში მიიღოს თანამედროვე სტანდარტების უმაღლესი განათლება, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, უზრუნველყოფილი არ არის. უნივერსიტეტებში მისაღები კვოტების სწორი პრინციპების შესაბამისად განსაზღვრა ამ შედეგის მისაღწევად კარგ და აუცილებელ ნიადაგს შექმნის“,** – აღნიშნა **გივი მიქანაძემ.**

## წელს სახელმწიფო უნივერსიტეტებში მისაღები კონტინგენტი დაახლოებით 2 000 სტუდენტით გაიზრდება და 21 300-ით განისაზღვრება

**მინისტრის განცხადებით, რაც შეეხება კონცეფციის მთავარ მიდგომას – „ერთი ქალაქი – ერთი ფაკულტეტის“ პრინციპს, ის უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ მობილიზებას და საგანმანათლებლო პროგრამების გადუალებას.**

**„ჩვენი მიდგომაა, რომ ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს უნარჩუნდება თავისი უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამა. ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც ამ ეტაპზე იქნა დაშვებული, არის საერთაშორისო აკრედიტაციის და ერთობლივი ან ორმაგი ხარისხის პროგრამების სრულად შენარჩუნება სახელმწიფო უნივერსიტეტებში, გამომდინარე იქიდან, რომ ინტერნაციონალიზაცია უმაღლესი განათლების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და ამ მიმართულებით სახელმწიფო ყოველწლიურად მნიშვნელოვან ინვესტიციას ახორციელებს.**

**„გასულ წელს სახელმწიფო უნივერსიტეტებში 19 311 სტუდენტი ჩაირიცხა. წელს სახელმწიფო უნივერსიტეტებში მისაღები კონტინგენტი დაახლოებით 2 000 სტუდენტით გაიზრდება და 21 300-ით განისაზღვრება. ამას დაემატება პროფესიულ პროგრამებზე მისაღები დაახლოებით 10 000 სტუდენტი, რომლებიც განათლებას ასევე სრულიად უფასოდ მიიღებენ“,** – აღნიშნა **გივი მიქანაძემ.**

# ავარიული სახლების გამოსყიდვა ისევ პრობლემურია!

**თბილისის მერი კახა კალაძე: ვიწყებთ ახალ პროგრამას, რომელიც ეხება დედაქალაქის ისტორიულ უბნებში – კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვას. არიან ადამიანები, რომელთაც არ სურთ, რომ მიუხედავად მერიის ჩართულობისა, დაელოდონ სამშენებლო პროცესს და შესაძლოა, ურჩევნიათ ამ ქონების მალევე გაყიდვა. სწორედ ეს პროგრამა იქნება კიდევ ერთი დამატებითი მექანიზმი და შესაძლებლობა ჩვენი თანამოქალაქეებისთვის, რომ მიიღონ გადაწყვეტილება მათივე კუთვნილი ავარიული საცხოვრებელი სახლების შესახებ.**

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ავარიულობის ხარისხი უნდა იყოს V ან IV კატეგორია; გამოსყიდვაზე თანახმა უნდა იყოს ავარიული საცხოვრებელი სახლის ყველა მესაკუთრე; ზოგიერთი ფართის გამოსყიდვა ცხადია ვერ მოხდება, მაგალითად: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონება (სადარბაზოები, დერეფნები, კიბის უჯრედები, ეზო და სხვა საერთო სარგებლობის ქონება); ავტოფარეხი/ავტოსადგომი (ჩვენ გვაქვს პროგრამები, რომლის მიხედვითაც, ამხანაგობის საკუთრებაში თუ მფლობელობაში არსებულ ავტოსადგომებს ვიღებთ და მათ ადგილას ვაწყობთ რეკრეაციულ სივრცეებს); სხვენი და ტერასა, თუ იგი არ არის კეთილმოწყობილი და არ გამოიყენება საცხოვრებლად. ფართები, რომლებიც გამოიყენება საცხოვრებლად, შეფასდება როგორც საცხოვრებელი ფართები, ხოლო ფართები, რომლებიც არ გამოიყენება საცხოვრებლად, შეფასდება მათი ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით. გამოსყიდული ტერიტორიები უკვე მომზადდება საინვესტიციოდ, ისე რომ ქალაქგეგმარებითად იყოს ისტორიული უბნის სპეციფიკასთან თანხვედრაში.

* * *

**ცვლილება შეგვაქვს ქირების გაცემის წესში. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა არსებობს ავარიული სახლების ჩანაცვლების კუთხით, სამწუხაროდ, ზოგიერთი მესაკუთრე არაკეთილსინდისიერად იყენებს მერიის ქირების პროგრამას. ეს ადამიანები უარს აცხადებენ ჩანაცვლების პროგრამებში მონაწილეობაზე, რითაც ასევე აზარალებენ და აზიანებენ სხვა მესაკუთრეების უფლებებს. ამასთან, პარალელურად, წლების განმავლობაში იღებენ ქირას მერიიდან.**



თბილისის მთავრობის სხდომა

ცვლილებების მიხედვით, თუ პირი იღებს ქირას და ამასთანავე გამოვლინდება, რომ იგი უარს განაცხადებს ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების რომელიმე პროგრამაში მონაწილეობაზე, მას ექვსი თვით შემდეგ შეუწყდება ქირის მიღება და აღუდგება მხოლოდ მას შემდეგ, როცა განაცხადებს თანხმობას ჩანაცვლების პროგრამებში მონაწილეობაზე. ის პირი, რომელიც უარს განაცხადებს ჩანაცვლების რომელიმე პროგრამაში მონაწილეობაზე და ამის შემდეგ გაუჩნდება ქირის მიღების საფუძველი, მას არ მიეცემა ქირა მანამ, სანამ არ განაცხადებს თანხმობას ჩანაცვლების პროგრამაში მონაწილეობაზე. მინდა, ვთხოვო ჩვენს თბილისელებს, რომ გულისხმიერად მოეკიდონ ამ პროცესს და გამოიყენონ ჩვენს მიერ შეთავაზებული პროგრამები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მათ კეთილდღეობასა და საკუთრების ობიექტის გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

* * *

**საბურთალოს რაიონის გამგეობა დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქუჩაზე, 186-ე საჯარო სკოლის წინ, 8 280 კვ.მ ფართობზე რეკრეაციულ სივრცეს მოაწყობს. პროექტის ფარგლებში, დამონტაჟდება თანამედროვე საპარკო ინფრასტრუქტურა, განათებისა და სარწყავი ქსელები, მოეწყობა საბავშვო-გასართობი და სატრენაჟორო სივრცეები.**

ტერიტორია გამწვანდება და დაირგვება სხვადასხვა ჯიშის ხემცენარე. გარდა ამისა, აღნიშნულ მისამართზე არსებული საფეხბურთო მოედანი გაფართოვდება და რეაბილიტირდება. სკვერი აღიჭურვება ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. ეს სივრცე, ბილიკის მეშვეობით დაუკავშირდება გიორგი ბრწყინვალის ქუჩა N1-ში გასულ წელს მოწყობილ რეკრეაციულ სივრცეს. ზოგადად სასიამოვნოა ასეთი სივრცეების არსებობა, რაც ქალაქს ძალიან უხდება და სჭირდება.

* * *

**დედაქალაქში აქტიურად გრძელდება რეკრეაციული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის პროცესი. გლდანის რაიონის გამგეობა მოსასვენებელ სივრცეს ამჯერად მერვე მიკრორაიონის N13 კორპუსთან მოაწყობს. სამუშაოები, დაახლოებით, 7 000 კვ.მეტრ ფართობზე ჩატარდება.**

ტერიტორიაზე მოეწყობა ბავშვთა გასართობი ზონები, დამონტაჟდება გარე განათებისა და სარწყავი სისტემები, განთავსდება სკვერისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურა. ასევე, მოეწყობა სავარჯიშო სივრცე და სასეირნო ბილიკები. ტერიტორიაზე ჩატარდება გამწვანების სამუშაოები – დაირგვება ხე-მცენარეები.

* * *

**თბილისის მერიის კონკურსის „შემოქმედებითი თბილისის“ პირველ ეტაპზე განაცხადების მიღება დღეიდან იწყება. დღეიდან 6 მარტის ჩათვლით, განაცხადები მიიღება ოთხი მიმართულებით: საგამომცემლო საქმიანობა, დიზაინი და რეწვა, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება და მედია ხელოვნება.**

განაცხადების ატვირთვა და დამატებითი ინფორმაციის მიღება მსურველებს შეუძლიათ სპეციალურად კონკურსისთვის შექმნილ ვებგვერდზე: www.culture.tbilisi.gov.ge. კონკურსის მიზანი დედაქალაქში შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, სფეროში ჩართული ხელოვანებისა და სახელოვნებო ჯგუფების შემოქმედებითი იდეების წარმოჩენა და რეალიზებაა. აღსანიშნავია, რომ კონკურსის ფარგლებში, მისი არსებობის შვიდი წლის განმავლობაში, 300-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა და ბევრი საინტერესო პროდუქტი შეიქმნა, მათ შორის, ქართულ ზღაპრებზე დაფუძნებული კომპიუტერული თამაშები, პროექტები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, გამოიცა მრავალი სამეცნიერო, პოპულარული წიგნი, შეიქმნა თანამედროვე ხელნაკეთობები და სხვა.

11 თებერვალი. 2026.

საქართველოს რესპუბლიკა

# ვიცოდეთ წარსული, თვალი გავუსწოროთ მომავალს



**დავით ახლოური,**
საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი

## ქსნური სახარება

**XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არაერთი საყურადღებო ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, რომლებიც დღეს ჩვენი კულტურის საგანძურადაა ქცეული და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ, გავიხსენოთ თუნდაც: „ცისკარი", „საქართველოს მოამბე", „ივერია", „დროება", „კვალი", „მნათობი", „გუთნის დედა", „სასოფლო გაზეთი", „მწყემსი", „იმედი", „აკაკის თვიური კრებული" და სხვა.**

მიუხედავად ეპოქის მკაცრი ცენზურისა, ქართული პრესა გულმოდგინედ იცავდა ილიასეულ პოსტულატს, რომლის მიხედვითაც ერისა და ბერის მთავარი საფიქრალი მამული, ენა და სარწმუნოება უნდა ყოფილიყო, მათ მოფრთხილებასა და გადარჩენაზე უნდა ეზრუნათ. როგორც ა. ბედიანაშვილი აღნიშნავს: **„ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების, ცნობიერების ამაღლებაში დიდ როლს ასრულებდა პერიოდული პრესა. ქართული ჟურნალ-გაზეთები უშიშრად ამხელდნენ რუსიფიკატორთა ბნელ ზრახვებს. მკითხველს აწვდიდნენ თავისუფალ სიტყვას, საუბრობდნენ პატრიოტიზმსა და დემოკრატიული აზროვნების შესახებ. ცენზურამ აკრძალა სიტყვა „საქართველო", „მავნე მიმართულებისათვის" დახურეს ჟურნალი „იმედი", გაზეთები „დროება" და „შრომა". ასევე მოექცნენ რუსულ „ობზორს", რომლის რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე საქართველოდან გაასახლეს".**

ეროვნული იდეალების მედროშედ იქცა ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა „ივერია", რომლის დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე არაერთხელ იმყოფებოდა ქსნის ხეობაში, როგორც ქსნის ერისთავებთან – ახალგორში, ისე ფიცხელაურებთან – იკოთში. ილიასთვის ქსნის ხეობა განსაკუთრებულად ახლობელი და ნაცნობი იყო, მისი „ივერიაც" შეძლებისდაგვარად აქცევდა ამ კუთხეს ყურადღებას და საზოგადოებას პერიოდულად აცნობდა იქ მიმდინარე სიახლეებს.

ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ივერიის" 1883 წლის მაის-ივნისის გაერთიანებულ ნომერში გამოქვეყნებული ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის სტატია: **„სამი ძველი ვარიანტი ქართულის ოთხთავისა ანუ სახარებისა"**, რომელსაც ახლავს რედაქციის მინაწერი: „ეს რეფერატი ეკუთვნის ბ-ნს დიმიტრი ბაქრაძეს და მომზადებულია მისგან წასაკითხავად **„კავკასიის არხეოლოგიურ საზოგადოების" სხდომაზედ მომავალს სეკტემბერში".** როგორც სტატიაშია აღნიშნული, იმ პერიოდისთვის სწავლულთა შორის ყველაზე ცნობილი იყო XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი სახარება. თუმცა, ცნობილია, რომ V საუკუნის პირველ ნახევარში სახარება ქართულად უთარგმნია ქართლის მეფე მირდატ არჩილის ძეს მეუღლის საგდუხტისათვის, ამავე საუკუნის მეორე ნახევარში არსებულა მირდატის ვაჟის ვახტანგ გორგასლის მიერ მდიდრულად მორთული სახარება, რომელიც VI საუკუნეში მეფე ფარსმანს შიო-მღვიმის მონასტრისთვის შეუწირავს. როგორც დ. ბაქრაძე აღნიშნავს: **„ქართული ოთხ-თავის ხელ-ნაწერთა შორის მე-XI საუკუნეზე უწინარესი მხოლოდ ერთი არის ცნობილი, რომელიც გადაწერილია 936 წ. მეფე სუმბათისათვის და რომელიც დაცულია ეხლა ჯრუჭის მონასტერში, იმერეთში. ეს ხელ-ნაწერი უნახავს განსვენებულ აკადემიკოსს ბაროსეს (ბროსეს – დ.ა.) 1848 წ. უფრო უძველესი ხელნაწერები სახარებისა, ვიდრე თვით ჯრუჭის მონასტრის სახარება არის, აღმოჩნდა ორი მისი ხელნაწერი, რომელიც თქვენ წინ სძევს. რადგან ერთი მათგანი ნაპოვნია ქსნის ხეობაში, ხოლო მეორე ურვნისში (ურბნისი – დ.ა.), ამისათვის მე პირველს ქსნის სახარებად მოვიხსენიებ ხოლმე და მეორეს უურბნისის სახარებად".** ქსნის სახარების აღმოჩენის ადგილად დ. ბაქრაძე ახალგორის ერთ-ერთ დანგრეულ ეკლესიას უთითებს: **„შარშან ზოგიერთა ფურცლები ვიპოვე კიდევ იმისი იმავ ადგილას ეკკლესიის გალავანში. რომ მას დიდი ხანი გაუტარებია ცის ქვეშ, ქარსა და წვიმის ქვეშ გდებულა, ამას თვით ამისი გარეგნობა ამტკიცებს; მაგრამ მისი უბედობა კიდევ ამით არა თავდება; თბილისში იქმნა მოტანილი, ერთმა ქართულ სიძველეთა მოყვარულმა, რომლის სახელიც ჯერ აქ არ მინდა მოვიხსენო, ამოგლიჯა იქიდამ ერთი ნაწილი, როგორც მე შემდეგ გავიგე, და წაიღო პეტერბუგსრ".**



დიმიტრი ბაქრაძის აღნიშნულ ცნობას გაზეთ „დროების" 1883 წლის 14 აგვისტოს ნომერში გამოეხმაურა ზაქარია ჭიჭინაძე. როგორც იგი აღნიშნავს, ქსნის სახარება 1879 წელს ახალგორელ მღვდელს მოუპოვებია სხვა რამდენიმე ძველ წიგნთან ერთად და ზაქარიასთვის გადაუცია: „ყველა ეს წიგნი ინახებოდა ჩემთან. ბ. დ. იმ დროს აქ არ იყო და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოვიდა. მის ჩამოსვლამდის მე შემხვდა ერთი ყმაწვილი კაცი, რომლის სახელის დასახელების აქ არ გსაჭიროობ; მან მთხოვა, რომ ხსენებული სახარება მისთვის დამეთმო; თუმცა ყველა ეს წიგნები თითქმის ჩემს გამგეობას ქვეშ იყო, მაგრამ მე ვერ გავბედე სრულიად დათმობა და ამიტომ წიგნი გავყავით შუაზე; ნახევარი იმან წაიღო პეტერბურღში, რადგანაც ის იქ სცხოვრობს და ნახევარიც მე დავიტოვე, რომელიც შემდეგ გასინჯულ იქმნა და განხილულ ბ. დ. ბაქრაძისაგან". დიმიტრის ზაქარიასთვის უთხოვია, წერილით მოეთხოვა პეტერბურგში მცხოვრები ქართველისთვის (რომელსაც არ ასახელებენ), სახარების ნაწილი უკან დაებრუნებინა. ზაქარიას ეს არ გაუკეთებია: „მე ეს ვერ გავბედე, რადგანაც ჩემის ნებით დავუთმე და ვსთხოვე ბაქრაძეს, რომ იმას მიეწერა წერილი ამის შესახებ და არ ვიცი მისწერა, თუ არა"-ო. ავტორის მინიშნებით, „დროებაში" დაბეჭდილი წერილის მიზანი ყოფილა პეტერბურგში მცხოვრები საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის შესწავლით დაინტერესებული ქართველების სახელის მოფრთხილება. ერთგვარი მკაცრი ტონიც ჩანს ზაქარიას სიტყვებში: **„ამიტომ მიმიქცევია ეს წერილი იმისკენ, ვისიც რიგია და მოვალეობა და თვით იმან ახსნას ამ ძვირფასი საგვარტომო წიგნის განახევრების მიზეზი. იმედი მაქვს, რომ „დროებაში" ადგილს დაუთმობთ და დაბეჭდავთ ამ წერილს, რადგანაც ხსენებულმა წიგნმა დიდი ყურადღება მიიპყრო „კავკასიის არხეოლოგიურ" კრებაზე".** თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ბატონი ზაქარია, თავის დროზე ქსნის ხეობაში აღმოჩენილ უძველეს სახარებას მოფრთხილებოდა. წიგნის შუაზე გაყოფა კი არა, ერთი ფურცლის მოკლებაც კი არ იყო მართებული.

ქსნის ხეობაში სახარებისა და სხვა ძველი წიგნების აღმოჩენის შემდეგ, გაზეთი „დროება" საზოგადოებას მოუწოდებდა, მეტი ყურადღება მიექციათ ახალგორის ეკლესიებში არსებული, უპატრონოდ დარჩენილი საგანძურისთვის: ჩვენ გვითხრეს, რომ ახალგორის ხეობაში, ძველს ეკლესიებში ბევრი ძეგლი ხელთ-ნაწერი წიგნები და აგრეთვე ძველი ნივთები არისო, რომელნიც თითქმის სრულიად უპატრონოდ ჰყრიანო და თუ მალე ყურადღება არ მიაქციეს, ეს წიგნები და ნივთები შეიძლება სრულიად გაქარწყლდეს, დაიკარგოს და გაფუჭდესო.

გაზეთი „ივერია" 1886 წელსაც გამოეხმაურა ქსნის ოთხთავის უძველეს ვარიანტს: „ჩვენის აზრით, ძალიან ბევრი ისტორიული, ეთნოგრაფიული და პალეგრაფიული მასალა უნდა იყოს ამ მივარდნილს ხეობის გულში. პატივცემულმა დ. ზ. ბაქრაძემ აქ, ქსნის-ხეობაზე იპოვნა შესანიშნავი ვარიანტი სახარებისა, დაწერილი V საუკ(უნეში)".

დავუბრუნდეთ ისევ ქსნის ოთხთავის ბაქრაძისეულ მიმოხილვას. მისი აღწერით: **„ეხლანდელი მდგომარეობა ხელ-ნაწერისა**



ზაქარია ჭიჭინაძე

**ასეთია: მათეს სახარებიდგამ 8 უკანასკნელი თავია დარჩენილი, მთლად სახარება მარკოზისა, სახარება ლუკასი, გარდა IX-XVII თავისა, და სახარება იოანესი, თუ არ ჩავთვლით ძალზე დაჩრჩილულს და სინესტისგან ნახევრად დამპალს 8 უკანასკნელს თავს".**

უკეთესად ყოფილა შემონახული ურბნისის სახარება, რომელიც ჭოროხის ხეობიდან ჯერ სამურზაყანოში, შემდეგ იმერეთში და იმერეთიდან რუსეთში წაუღიათ, საიდანაც ურბნისში მიუტანიათ. ოთხთავი რუსეთში ხარჭაშნელს ეპისკოპოსს გრიგოლს წაუღია, რომელიც იქ 1784 წელს გაემგზავრა მეფე ერეკლეს მინდობილობით. **„წელი 1798. მე მშვიდი გრიგოლ ხარჭაშნელი ეპისკოპოზი ვსცხოვრობდი ქ. ასტარხანს და წმინდა ესე სახარება გარდავეცი ასტრახანის წიგნთ საცავში"** – მიუწერია მას მხედრული ასოებით ურბნისის ოთხთავის პირველ ფურცელზე.

როგორც ქსნის, ისე ურბნისის ოთხთავები დაწერილია ასომთავრული ხუცურით. ბაქრაძის დაკვირვებით **„გარეგანსა და პალეოგრაფიულ ნიშნებს რომ მივაქციოთ ყურადღება, ამ ორს სახარებაში ქსნის სახარება უფრო ძველი სჩანს. ეტრატი ანუ პერგამენტი, რომელზედაც ეს სახარება არის დაწერილი, უფრო უხერხოთ არის ნაკეთები; ასოები ტალანქად (ტლანქად – დ.ა.) გამოყვანილებია; დასაწყისი ასოები ანუ ინიციალები შემკულნი არ არიან სხვა და სხვა მხატ(ვ)რობით; საზოგადოთ მისი ასოები ძალიან წააგვანან ნუმიზმატების მიერ კარგად ცნობილ ასოებს სასანიდების დროის ფულებზედ; ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სახარებაში ნიშანიც არსადა სჩანს ხუცურის გაკრულის ხელის ასოებისა, სულ ასომთავრულით არის დაწერილი; ადვილი მისახვედრია, რომ ეს უკანასკნელი იმ დროს, როცა ეს სახარებაა დაწერილი, არა სცოდნიათ და ჯერ სულ შემოღებული არა ყოფილა. ურბნისის სახარების შესახებ უნდა ვსთქვათ შემდეგი: ყოველი გარეგანი მისი ნიშანი და შეხედულება ერთად ამტკიცებს, რომ იგი ეკუთვნის შემდეგს დროს ქსნის სახარების დაწერისას: მისი ასოები უფრო სწორე და ლამაზი ასოებია, ინიციალები დასმულია სახაზავისა და ფარგალის შემწეობით, თუმცა კი სამკუთხედით არ უსარგებლიათ მათ დასმის დროს. ამასთან ინიციალები ნახატებით არის მორთული ფერადის საღებავით, თუმცა კი ეს ინიციალებიც სილამაზით და ხელოვნებით მაინც ბევრად ჩამოუ(ვ)არდებიან მე-X-XI საუკუნის ინიციალებს; მიწერილობანი გადამწერელისა და შინაარსი თითოეულის მახარებელის მიერ დაწერილისა, მოყვანილი ამ სახარებაში, სრულიად არ მოიძებნება ქსნის სახარებაში და დაწერილიც არის გაკრულის ხუცურის ხელით ანუ წვრილის ხუცურის ანბანით".**

ურბნისის სახარების ქორონიკონი ძეგლის თავშიც ყოფილა მითითებული და ბოლოშიც, გადამწერი იოანე თათანელი მიუთითებს დასაბამიდგან 6110 წელს, რომელიც შეესაბამება ქართული წელთაღრიცხვის 506 და ბერძნულის – 602 წელს. ბაქრაძის აზრით, უფრო მისაღები ბერძნული წელთაღრიცხვის თარიღი უნდა იყოს. ქსნის სახარების თარიღი კი, ავტორის ვარაუდით, შესაძლებელია პეტერბურგში წაღებულ რომელიმე ფურცელზე იყოს მითითებული.

ქსნისა და ურბნისის უძველესი ოთხთავების დეტალური მიმოხილვის შემდეგ, ბაქრაძის დასკვნით, ძეგლები ნათარგმნი უნდა იყოს სომხური სახარებიდან: „აქ წინდაწინვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ არა გვაქვს მტკიცე ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ ენიდამ არის ქართული სახარება თავ და პირველადვე გადმოთარგმნილი; უფრო საფიქრებელია, რომ სომხურიდამ არის თარგმნილი, რადგანაც, პირველად მასში მოიძებნება კვალი სომხურის ენის გავლენისა და, მეორედ, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე და აღწერილია ერთის მის მოწაფესაგან, ვკითხულობთ შემდეგს: **„ჩვენ თავდაპირვალადვე გვქონდა წერილობანიცა და ჭეშმარიტი სარწმუნოებაცა, მაგრამ რადგან ბერძნებზედ მოშორებით ვიყავით, სომხები დაგვიმეგობრდნენ, ცბიერებით მოინადირეს ჩვენი გული და ვითომ სულიერის სარგებლობისათვის, ჩვენს ხალხში ღვარძლსა სთესავდნენ. მათგან გვქონდა ჩვენ ზოგიერთა წიგნებიც, მათმიერვე თარგმნილნი, მაგრამ უფალმა ჩვენ შორის დაჰბადა მეორე ოქროპირი, მამა ევთიმე, რომელმაც განსწმინდა ჩვენი ქვეყანა ღვარძლისაგან სამღვთო წერილის თარგმნითა, უკეთუ სომხურ ენიდამ გადათარგმნილი წიგნთა შორის ჩვენ ჩავრიცხამთ**



დიმიტრი ბაქრაძე

**ოთხ-თავსაც, მაშინ ამ უკანასკნელის გადმოთარგმნა უნდა მივაწეროთ იმ დროს, როცა სომხებმა დაიწყეს თარგმნა სახარებისა თავიანთ ენაზე ბერძნულიდამ, სახელდობრ მე-V საუკუნეს. ამ მოსაზრებას საფუძველი ეძლევა ზემო-მოხსენებულის ქართულ მატიანეთა თქმულებით".**

წერილის ბოლოს ავტორი სურვილს გამოთქვამს, მოძიებული იქნას საქართველოს მონასტრებსა და კერძო ოჯახებში გაფანტული უძველესი ხელნაწერი ძეგლები, რომელიც შეიკრიბება თბილისში, მოხდება მათი ანალიზი, ურთიერთშედარება და „შესანიშნავი ვარიანტები" დაიბეჭდება ერთ წიგნად. ამგვარი ვარიანტებს რიცხვს კი, ქსნისა და ურბნისის ოთხთავებთან ერთად, მიაკუთვნებს ჯრუჭის სახარებასა და ზუგდიდის ეგზემპლარს, რომელიც თავად „მინგრელსკის წიგნთ საცავში" ინახებოდა... მათი შედარებით ნათელი უნდა მოჰფენოდა, თუ რა როლი შეასრულეს სომხებმა და იქნებ სირიელებმაც თავდაპირველი საღვთო წერილის ქართულ თარგმანზე, რა ზემოქმედება იქონია სომხურმა და სირიულმა ენებმა **„ქართული ენის ბუნება-წყობილებაზე".**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ" 2025 წელი №108, 109-110, 111-119, 120-121, 123, 125, 126, 145, 150, 157-158, 164

# სტრატეგიული თვალსაწიერი



**ბრიტანული** სამაუწყებლო კომპანიის **„ბიბისის“ (BBC)** ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ამერიკული დრონების მიწოდება სომხეთისათვის და ნიკოლ ფაშინიანისადმი მხარდაჭერა: რატომ ჩავიდა ჯეიმს ვენსი ერევანში“** (ავტორი – გრიგორი ათანესიანი), რომელშიც გაანალიზებულია სომხეთში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მომენტები.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:** BBC

# რატომ ჩავიდა ჯეიმს ვენსი ერევანში?

**აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯეიმს დი ვენსის ისტორიული ვიზიტით სომხეთში გამოიხატა ერევნის სწრაფი დაახლოება ვაშინგტონთან და ასევე სწრაფი დაშორება მოსკოვისგან. სომხეთში ყოფნისას აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ნიკოლ ფაშინიანის კანდიდატურას ივნისში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში და განაცხადა, რომ სომხეთის არმია აშშ-საგან მიიღებს ისეთივე სადაზვერვო დრონებს, როგორებიც უკრაინის არმიას მიეწოდება.**

**„ვიცი, რომ (ნიკოლ ფაშინიანს) მალე არჩევნები ექნება. მე არაფერს არ ვიტყვი თვითონ არჩევნებზე, მაგრამ თუ ჩემი მხარდაჭერა რაიმეს ნიშნავს, იგი, ალბათ, ამით ისარგებლებს – იმიტომ, რომ მას შეუძლია ისეთი გრძელვადიანი თანამშრომლობის აწყობა, რომელიც (აზერბაიჯანთან) მტკიცე მშვიდობას უზრუნველყოფს“...**

შეხვედრის დროს ითქვა, რომ მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბირთვულ ენერგეტიკაში თანამშრომლობის შესახებ, რაც გულისხმობს სომხეთში ამერიკული ბირთვული ტექნოლოგიების ექსპორტს და მცირე ბირთვული რეაქტორების მშენებლობას.

ვიზიტის დროს ცნობილი გახდა, რომ ამერიკულ-სომხური სტარტაპი „ფაირბირდი“ (Firebird) სომხეთში შექმნის სუპერკომპიუტერს და „Data center“-ს ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვისათვის, რისთვისაც სტარტაპი 4 მილიარდი დოლარის ინვესტიციას ჩადებს სომხეთის ეკონომიკაში და რისთვისაც აშშ-ის მთავრობამ ნებართვა გასცა დამატებით NVIDIA-ის 41 ათასი ჩიპის (ინტეგრირებული მიკროსქემის) გაყიდვის თაობაზე. ეს პროექტი ყველაზე მასშტაბური ინვესტიცია უნდა გახდეს სომხეთის IT-სექტორში.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან ახალ ამბად იქცა აშშ-ის მიერ სომხეთისთვის 11 მილიონ დოლარად ამერიკული სადაზვერვო დრონების (V-Bat) მიწოდება. ეს პირველი ფაქტია ისტორიაში სომხეთისათვის ამერიკული იარაღის მიწოდებისა – ქვეყნისათვის, რომელიც ფორმალურად რუსეთის მოკავშირედ რჩება, მაგრამ აქვს აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორის სტატუსი და მიზნად ისახავს გახდეს ევროკავშირის წევრი.

**ჯეიმს ვენსმა** და **ნიკოლ ფაშინიანმა** განიხილეს მშვიდობის განმტკიცების პროცესის მიმდინარეობა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, იმსჯელეს აგრეთვე ერთ-ერთ მოუგვარებელ საკითხზე – ბაქოში დაპატიმრებული სომხეთის მოქალაქეების ბედზე – იგულისხმებიან მთიანი ყარაბაღის ექს-„პრეზიდენტი“ **არაიკ არუთინიანი** (მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს), მთიანი ყარაბაღის არმიის „ექს-სარდალი“ ლევონ მნაცაკანიანი, მისი მოადგილე დავით მანუკიანი, პარლამენტის „სპიკერი“ დავით იშხანიანი და საგარეო საქმეთა „მინისტრი“ დავით ბაბაიანი, რომლებსაც სხვადასხვა ვადით მიუსაჯეს პატიმრობა. როგორც ჯეიმს ვენსმა განაცხადა, ბაქოში ვიზიტის დროს ამ საკითხის ინიცირებას პრეზიდენტ **ილჰამ ალიევთან** შეხვედრის დროს მოახდენს.

(სხვათა შორის, როგორც BBC-ის აზერბაიჯანული სამსახური იუწყება, ვიზიტის დროს, ერევანში, აშშ-ის საელჩოსა და პრეზიდენტის რეზიდენციის წინ ჩატარებული საპროტესტო აქციის დროს მომიტინგეებმა ჯეიმს ვენსს მოუწოდეს ზეწოლა მოახდინოს სომხეთის მთავრობაზე, რომ შეწყდეს შანტაჟი სომხური სამოციქულო ეკლესიის სამღვდელოების წინააღმდეგ და გათავისუფლდნენ პოლიტიკური პატიმრები სომხეთში. თავის მხრივ, სომხეთის მთავრობა აცხადებს, რომ ქვეყანაში პოლიტპატიმრები არ არიან.

საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ასევე სთხოვეს ვიცე-პრეზიდენტ ჯეიმს ვენსს, რომ მან გარკვეული შუამავლობა განახორციელოს აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან ბაქოს საპყრობილედან ე.წ. სომეხი პატიმრების გასათავისუფლებლად და ყარაბაღის მეორე ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული სომხების ძებნის დაწყების მიზნით. ამასთან, როგორც აზერბაიჯანის ოფიციალურ განცხადებებშია ნათქვამი, ქვეყანაში სომეხი უკანონო პატიმრები და მძევლად აყვანილი პირები არ არიან. ბაქოს მტკიცებით, სომეხი ეროვნების პირები პასუხისმგებლობაში არიან მიცემულნი კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების გამო).

## დრონები: რა იგულისხმება იარაღის მიწოდებაში?

**„ჩვენს ურთიერთობებში პირველად ვაცხადებთ სამხედრო ტექნოლოგიების მსხვილი მიწოდება-მიყიდვის თაობაზე, რომელიც გამოიხატება სომხეთის არმიის უზრუნველყოფაში უპილოტო საფრენი აპარატებითა და დაკვირვება-თვალთვალის სისტემებით. ამას ვაკეთებთ სომხეთისთვის და ჩვენი კეთილი მეგობრის, ქვეყნის პრემიერ-მინისტრისადმი პატივისცემის აღსანიშნავად“**, – განაცხადა **ჯეიმს ვენსმა.**

საქმე ეხება V-Bat-ის ტიპის ამერიკულ სადაზვერვო დრონებს, რომლებიც მიეწოდება უკრაინასაც და გამოიყენებიან Himars-ის შორსმსროლელი სარაკეტო კომპლექსებისთვის – დარტყმების მისაყენებლად იმ ობიექტებისადმი, რომლებიც რუსეთის მიერ ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიაზე მდებარეობენ. **„ეს არის ძალიან დიდი მოვლენა სომხეთისათვის. ლაპარაკია იმ პლატფორმაზე, რომელიც ამჟამად აშშ-ის არმიისა და მისი მოკავშირეების მიერ გამოიყენება. ეს შეიძლება აშშ-ის მზადყოფნის სიგნალადაც გამოვიყენოთ, რომ ვაშინგტონი სომხეთის სამხედრო პოტენციალის განმტკიცებას სამომავლოდაც გააგრძელებს“**, – თვლის **ედუარდ არაქელიანი,** სამხედრო ანალიტიკოსი, რომელიც დემოკრატიისა და უსაფრთხოების ერევნის რეგიონული ცენტრის თანამშრომელია.

**ჯეიმს ვენსმა** და **ნიკოლ ფაშინიანმა** ასევე მოილაპარაკეს შეთანხმების დადებაზე სამოქალაქო მშვიდობიან ატომურ ენერგეტიკაში, რომელიც გზას უხსნის ამერიკულ კომპანიებს სომხეთის ბირთვულ სფეროში. აშშ-დან ატომური რეაქტორების ექსპორტის თავდაპირველი მოცულობა 5 მილიარდი დოლარი იქნება. გათვალისწინებულია ბირთვული საწვავის მიწოდება და ტექმომსახურებაც 4 მილიარდი დოლარის ოდენობით.

## „ტრამპის გზა“ და ზავი აზერბაიჯანთან

**ჯეიმს ვენსის ვიზიტი მოჰყვა ჯერ კიდევ 2025 წლის აგვისტოს ვაშინგტონში გამართულ სამიტს ილჰამ ალიევისა და ნიკოლ ფაშინიანის მონაწილეობით, დონალდ ტრამპის შუამავლობით, როცა მხარეებმა სამშვიდობო დეკლარაციაზე ხელი მოაწერეს.**

საკვანძო მომენტად იქცა „ზანგეზურის დერეფნის“ – სატრანსპორტო გზის პროექტის – კომპრომისული ვარიანტი აზერბაიჯანიდან მისი ექსკლავისაკენ – ნახჭევანისაკენ, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და აყვავებისათვის“ ინგლისური აბრევიატურით – TRIPP). იმ დროს ბევრს ეჭვი ეპარებოდა, რომ საბჭოთა კავშირის დროს არსებული რკინიგზისა და ავტომაგისტრალის დანგრეული მონაკვეთი ნამდვილად აღდგებოდა და თანამედროვე ინფრასტრუქტურულ პროექტად გარდაიქმნებოდა. როცა დონალდ ტრამპი თავის სამშვიდობო დამსახურებაზე ლაპარაკობდა, ხშირად ურევდა ერთმანეთში სომხეთსა და ალბანეთს (Armenia-Albania), ხოლო აზერბაიჯანს „აბერბაიჯანად“ მოიხსენიებდა, რითაც სკეპტიკოსებს ეჭვი გაუძლიერა, რომ „ტრამპის დერეფანი“ ოდესმე ამოქმედდებოდა.

მაგრამ გავიდა ნახევარი წელი და ილჰამ ალიევი და ნიკოლ ფაშინიანი მუდმივად ლაპარაკობენ იმ შეთანხმების ხელმოწერაზე, რომლის ტექსტი ვაშინგტონში დამტკიცდა. მხარეები უკვე ავითარებენ სავაჭრო კავშირებსაც: აზერბაიჯანი სომხეთს ბენზინს აწვდის, რომელიც წარმოუდგენელი იყო ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ.

**„როგორიც არ უნდა იყოს დონალდ ტრამპის მოტივები სომხეთ-აზერბაიჯანის შეთანხმების დადების მიმართ გასული წლის აგვისტოში, მისი შედეგები ადგილებზე სრულიად რეალური აღმოჩნდა. აშშ-ის პრეზიდენტის პირადი მხარდაჭერა დაეხმარა ორივე ქვეყნის ლიდერებს, პოლიტიკური ნება გამოემჟღავნებინათ ურთიერთობის ნორმალიზებისათვის, ვაჭრობის დაწყების ჩათვლით“**, – აღნიშნავს **ჯოშუა კუჩერა** Crisis Group-დან.



**მოამზადა სიმონ კილაძემ.**



# გზააბნეული ტრამპის გზა

**სომხეთში ვიზიტის შემდეგ, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯეი დი ვენსი აზერბაიჯანში ჩავიდა, სადაც მას ქვეყნის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი დახვდა. სტუმარ-მასპინძელს შორის შეზღუდული ფორმატის შეხვედრა გაიმართა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აშშ-სა და აზერბაიჯანს შორის სტრატეგიულ პარტიორობაზე.**

აზერბაიჯანში ვიზიტის ფარგლებში კი ხელი მოეწერა **„სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას“**. აშშ-ის მხრიდან ქარტიას ვიცე-პრეზიდენტმა **ჯეი დი ვენსმა,** ხოლო აზერბაიჯანის მხრიდან – ქვეყნის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** მოაწერეს ხელი.

მედიისთვის გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე, ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამერიკა კეთილდღეობას შექმნის იქ, სადაც მხოლოდ ომი და კონფლიქტი იყო. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აშშ-სა და აზერბაიჯანს ხანგრძლივი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორობა აქვთ და რომ აზერბაიჯანი ერთ-ერთი ბოლო ქვეყანა იყო, რომელიც ავღანეთიდან გავიდა.

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ **„ტრამპის გზა საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის“** (TRIPP) უკვე მოქმედებს და დამატებით ეკონომიკურ შესაძლებლობებს შექმნის – აზერბაიჯანისთვის ბუნებრივი რესურსების ექსპორტს გაამარტივებს. ვენსის თქმით, ეს იმპულსს შექმნის სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმების მდგრადობისთვის.

**„ერთ-ერთი უდიდესი რამ, რასაც კონფლიქტებისა და ომების აღკვეთა შეუძლია, ორი ერის ერთად მუშაობაა უფრო დიდი კეთილდღეობის მისაღწევად. მშვიდობა შეერთებული შტატების პრეზიდენტის, აზერბაიჯანის პრეზიდენტისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრის წყალობით დამყარდა. ერთობლივი ძალისხმევების შედეგად, მშვიდობა შეიქმნა იქ, სადაც აქამდე ომი იყო. მომავალში, კეთილდღეობას შევქმნით იქ, სადაც აქამდე მხოლოდ ომი და კონფლიქტი იყო“**, – განაცხადა **ჯეი დი ვენსმა.**

თავის მხრივ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მშვიდობიან ცხოვრებას სწავლობენ და მადლობელია აშშ-ის ამ დიდი შესაძლებლობისთვის. როგორც ალიევმა თქვა, არა მხოლოდ ყველა შეზღუდვა გააუქმეს ტვირთების ტრანზიტზე, არამედ დაიწყეს აქტიური ვაჭრობა და თანამშრომლობა.

**„ძალიან მადლობელი ვართ პრეზიდენტ ტრამპის, ვიცე-პრეზიდენტ ვენსის და მათი გუნდის, კავკასიაში მშვიდობის დამყარებაში შეტანილი წვლილისთვის. გასული წლის აგვისტოში პრეზიდენტმა ტრამპმა თეთრ სახლში ბრწყინვალე გამოსვლით დააინიცირა ეს შეთანხმება, პრეზიდენტი ტრამპის მიერ ხელმოწერილი „მშვიდობის საერთო დეკლარაცია“, ასევე, დაემატა ამ დოკუმენტს და შედეგად, ახლა მშვიდობიანად ვცხოვრობთ. მშვიდობიან ცხოვრებას ვსწავლობთ და მადლობლები ვართ აშშ-ის მთავრობის, ამ დიდი შესაძლებლობისთვის. არა მხოლოდ ყველა შეზღუდვა გავაუქმეთ ტვირთების ტრანზიტზე, არამედ თავადაც დავიწყეთ ნავთობის შეკვეთების მიწოდება და დავიწყეთ აქტიური ვაჭრობა და თანამშრომლობა“,** – განაცხადა **ილჰამ ალიევმა.**

აღსანიშნავია, რომ რეგიონში სომხეთსა და აშშ-ს შორის „სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიას“ ხელი 2025 წლის იანვარში მოეწერა. რაც შეეხება საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატები-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ვაშინგტონში, 2009 წლის 9 იანვარს გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, ხოლო აშშ-ის მხრიდან აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა. თუმცა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოსა და აშშ-ის შორის „სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის“ მოქმედება 2024 წლის ნოემბერში შეაჩერა და მაშინ ბაიდენის ადამინისტრაციამ მიზეზად „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიული ქმედებები დაასახელა. ვენსის ვიზიტი სამხრეთ კავკასიაში დღეს სრულდება. ვენსი აშშ-ის ყველაზე მაღალი რანგის ოფიციალური პირია, რომელიც ოდესმე ჩასულა სომხეთში.

**რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2008 წელს ესტუმრა აშშ-ის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, რომელიც იმავე წელს საქართველოშიც ჩავიდა. აღსანიშნავია, რომ არც საქართველო არ არის განებივრებული ამერიკელი მაღალი თანამდებობის პირების ვიზიტით. ერთხელ იყო პრეზიდენტი ბუში, „შალახო“ იცეკვა და წავიდა. ამ ვიზიტის შემდეგ იყო 2008 წლის აგვისტოს ომი. რა თქმა უნდა, მაღალი თანამდებობის პირების ვიზიტს დატვირთვა აქვს, მაგრამ კონკრეტულ პირობებში და კონკრეტული მიზეზებით...**

**თამთა ქარჩავა**

# სიტყვის რაინდის წიგნი






**„რაც მწერალთა კავშირთან ურთიერთობა მახსოვს, მახსოვს ზაალ ბოტკოველიც _ თავდადებული, ერთგული, ზნეკეთილი პიროვნება. სიმართლე რომ გითხრათ, მის გარეშე, მწერალთა ანუ გულთა კავშირი ვერც კი წარმომიდგენია. მადლობელი ვარ უფლის, მასთან ერთად რომ მომიწია ამ ორგანიზაციაში მოღვაწეობა. მიყვარს, პატივს ვცემ, მეიმედება. მიყვარს მისი მადლიანი კალამი, მისი წერილები და თარგმანები“, – ეს სიტყვები ქალბატონ მაყვალა გონაშვილს ეკუთვნის.**

**საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილს ვინც იცნობს, ვინც იცნობს მის შემოქმედებას და ადამიანებთან ურთიერთობას, მწერლებთან დამოკიდებულებას, გულახდილად ვიტყვი, არ გაუკვირდება, ამ მართლაც უკეთილშობილესი ადამიანის შეფასების აღქმა, რადგან კრიტიკა იშვიათად გამიგია მისგან – ყველას მოყვარული, გვერდში მდგომი და გაჭირვების ტალკვესი გახლავთ.**

მაგრამ... როდესაც **ზაალ ბოტკოველის** ღვაწლის შეფასებას ეხება მწერალთა კავშირის პირველი პირის სიტყვა, ყველა იტყვის, რომ აქ გადამეტებული არაფერია. ერთი სიტყვაც არ არის მიკერძოებული, ერთი სიტყვაც არ არის ყალბი, პირიქით, ძალზე „სიტყვაძუნწიცაა“, მეგობრის და თანამეკალმის შემოქმედების შეფასებისას, ეს სიტყვაკაზმული და სიტყვაუხვი პოეტი ქალბატონი.

რაც მთავარია ეს თბილი სიტყვები ზაალ ბოტკოველის საიუბილეო რჩეულის წინასიტყვაობიდან ამოვიწერე, რათა მკითხველისთვის მიმეწოდებინა შეფასება იმ ღვთიეკურთხეული რაინდის შემოქმედების შესახებ, როგორადაც ზაალ ბოტკოველი წარმოგვიდგენია.

ვინც ამ ღირსეულ ქართველს იცნობს, იცნობს ჟურნალ-გაზეთებიდან, რადგან ზაალ ბოტკოველი ერთ-ერთი განსხვავებულია ქართველ „სიტყვის მეციხოვნეთაგან“, რომელსაც სხვათა შემოქმედების წარმოჩინება გაუხდია ცხოვრების მიზნად, ვიდრე თავისთვის, თუნდაც ერთი მცირეტირაჟიანი წიგნის გამოცემა. არ არსებობს ქართველ მწერალთა დიდ საძმოში ერთი რიგითი ადამიანი, ვისი ნაღვაწიც არ შეეფასებინოს და მათ შესახებ სწორედაც ჟურნალ-გაზეთები არ გამოეყენებინოს. ზაალ ბოტკოველი ხომ ამგვარი შეფასება-შექების, დიდოსტატია და ყველა მწერალი ცდილობს სწორედ მას ანდოს წიგნის სეფესიტყვის, წინათქმის გამოქვეყნება, მისი შემოქმედების კრიტიკა, გაითვალისწინოს მისი რჩევები. არამარტო „მწერლის გაზეთი“ და „ლიტერატურული საქართველო“, არამედ უამრავი გაზეთის რედაქცია დიდი სიამოვნებით ბეჭდავს ლიტერატურულ წერილებს ზაალ ბოტკოველის ხელმოწერით.

**„ქართული სიტყვის მეციხოვნენი“** ერთ-ერთი წიგნთაგანია, რომელიც მწერალმა საიუბილეოდ გამოსცა. სწორედ საიუბილეო წლებია მისი წიგნის ხილვისა და ამ წიგნით დატკბობის დრო. იუბილეებს კი ზაალ ბოტკოველი მხოლოდ გამორჩეულ თარიღებს უწოდებს თავისი ცხოვრებიდან და ამიტომაცაა მისი წიგნებით განებივრებულნი არ ვართ.

**„ქართული სიტყვის მეციხოვნენი“ რამდენიმე თავისგან შედგება – თანამოკალმეთა მოფერება-გახსენების გარდა წიგნში შესულია მხატვრული თარგმანები, პუბლიცისტიკა და განსხვავებულ წერილებად გაერთიანებული ქვეთავი „ქართულ ფეხბურთზე და...“**

დიდი ინტერესით ჩავიკითხე მხატვრული თარგმანები – ანტონ ჩეხოვის სამი მოთხრობა, ტანიძაკის „სვირინგი“ და ლუიჯი პირანდელოს „ცხენი მთვარეზე“. სწორედ ამ დროს დავინახე ზაალ ბოტკოველი განსხვავებული კუთხით – მწერალი, რომელმაც თავისი თავისთვის მოიცალა. როდესაც ასე ქართულად, მდიდარი ენით გადათარგმნი უცხო ნაწარმოებებს, ეს მართლაც შენი თავის დაფასებაა პირველ ყოვლისა, შემდეგ პატივისცემა მკითხველისადმი. მისი პირველი თარგმანი – ვიქტორ კოლუპაევის მოთხრობა „შთაგონება“ 1974 წელს დაიბეჭდა თსუ ალმანახ „პირველ სხივში“ და ამის შემდეგ ნახევარი საუკუნე გასულა. რამდენ მარგალიტს გვაჩუქებდა ეს სხვათა შემოქმედების აღიარებაზე გადაგებული მწერალი, ეს დრო რომ „თავისი თავისთვის“ დაეთმო?!

სამაგიეროდ, თბილი, ჩვეული სიყვარულით სავსე წარწერით კრებული რომ მაჩუქა, მაშინ გავიგე, 75 წლის ზაალ ბოტკოველი რომ საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური, გამომცემლობა „მესხეთის“, ჟურნალ „ოლეს“, გაზეთ „ივერიის“, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე მაჩაბლის, იაკობ გოგებაშვილის, მემედ აბაშიძის, გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიების, ილია ჭავჭავაძის ოქროს მედლის, ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის მთავარი პრიზის – წმინდა ნინოს ჯვარი, ქუთაისის მწერალთა, მეცნიერთა და ხელოვანთა ეროვნული აკადემიის პრემიის, ქართული კულტურის ამაგდარისა და ქართული კულტურის დესპანის წოდებების მფლობელი, ამასთან ერთად ღირსების ორდენოსანი და ღირსების მედლითაც ყოფილა დაჯილდოებული. თქვენ იცოდით? არა მგონია, რადგან ზაალ ბოტკოველი ყველა ქებადიდებას, ჩინ-მედლებსა და მოფერება-დაფასებებს უჩუმრად, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე იღებს. ამიტომაცაა იგი სხვათა ღირსების დამფასებელ-გამომზეურებელი, მათი მომფერებელი და ახალგაზრდათა გზის გამკვალავი. მისი „ქართული სიტყვის მეციხოვნენი“ მართლაც ის წიგნია, რომელშიც ყოველდღე თითო წერილი უნდა იკითხო, სულის საზრდო რომ მიიღო და მეტისმეტმა სიტკბომ არ დაგათროს.

**კიდევ ბევრი საიუბილეო, ასეთი თვალადური ქართულით შექმნილი წიგნით დაგვატკბე, ბატონო ზაალ!**

**მამუკა ვაშაკიძე**

## რწმენით დაპყრობილი მწვერვალები:

# ქართველი ქალი მთამსვლელების ისტორიები უშბაზე

**მთავარია, გჯეროდეს საკუთარი ძალების, მიზნების და იმისა, რომ ცნება „შეუძლებელი“ მხოლოდ დროებითი საზღვარია. სწორედ ამ რწმენამ, სხვადასხვა ეპოქაში, სამი ქართველი ქალის ისტორია უშბის მწვერვალზე ერთი იდეით გააერთიანა – ქალებს შეუძლიათ მწვერვალების დაპყრობა, მაშინაც კი, როცა გზა რთული, გარემო კი სტერეოტიპებით სავსეა.**

11 თებერვალს ლეგენდარული ქართველი მთამსვლელი ქალის და ქართული ალპინიზმის ფუძემდებლის ალექსანდრა ჯაფარიძის დაბადების დღეა. ამ თარიღის ირგვლივ თიბისიმ, სიმბოლურად, სხვადასხვა ეპოქის სამი ქალის – ალექსანდრა ჯაფარიძის, მარიამ გელაშვილისა და მაია სიჭინავას ისტორიები გააერთიანა. მათ შეუპოვრობით, მიზნისა და საკუთარი თავის დაჯერებით შეუძლებელი შეძლეს და უშბის მწვერვალებზე ავიდნენ.

1934 წელს ალექსანდრა ჯაფარიძემ ისტორია დაწერა – ეს გახდა მსოფლიო მასშტაბის მოვლენა, კარი ახალი თაობისთვის ქართული ალპინიზმის მომავალში, რადგან ალექსანდრა იყო პირველი ქალი, ვინც უშბის მწვერვალზე შედგა ფეხი.

**„გინდა აჯობო ამ კლდეებს, აჯობო შენს თავსაც. მაშინ თითქოს სხვად იქცევი, და უფრო კარგი ხარ, უფრო ძლიერი“** – აღნიშნავდა **ალექსანდრა ჯაფარიძე.**

ალექსანდრა ჯაფარიძის დაწყებული გზა, 90 წლის შემდეგ, 2024 წელს ალპინისტებმა მარიამ გელაშვილმა და მაია სიჭინავამ განაგრძეს – პირველი ქართველი ქალები, რომლებმაც უშბის ჩრდილოეთ მწვერვალს დამოუკიდებლად მიაღწიეს. თიბისის ახალი ვიდეორგოლში მარიამი და მაია, ალექსანდრას მუდმივი შთაგონებით, მოგვითხრობენ:



**„უშბაზე ასვლა საკუთარ თავზე გამარჯვებას ჰგავს. არც ზედმეტი სითამამე უყვარს, არც მარტივად გიღებს, თუმცა თუ მიგიღო – სამუდამოდ მისი ერთგული რჩები“, – მაია სიჭინავა.**

**„უშბამ ბევრი დაბრკოლება დაგვახვედრა გზად, მაგრამ თან ყველაზე მნიშვნელოვანი – მიზნისკენ ჯიუტად სვლა გვასწავლა. ის, რისიც ცხოვრებაში ასე ძალიან გჯერა, რისკენაც ასე შეუპოვრად მიდიხარ, შეუძლებელია არ გამოგივიდეს. ამ გზაზე ხან საკუთარი თავის უნდა დაიჯერო და წინ იარო, ხანდახან კი, უნდა გაჩერდე კიდეც, იმიტომ რომ, ზოგჯერ, მწვერვალი სწორედ მაშინ გამოჩნდება, როცა ყველაზე ნაკლებად ელოდები“, – მარიამ გელაშვილი.**




ალექსანდრა ჯაფარიძის, მაია სიჭინავას და მარიამ გელაშვილის მიღწევები მაგალითია იმისა, თუ როგორ გარდაიქმნება რწმენა რეალურ ძალად, რომელიც მიუღწეველი მწვერვალების დაპყრობასაც კი შესაძლებელს ხდის.

# ფერიაში აფხაზურს სწავლობენ!

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან გიორგი ჯინჯარაძესთან ერთად ხელვაჩაურში, სოფელ ფერიის საჯარო სკოლაში იმყოფებოდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, მთავრობის წარმომადგენლები აფხაზური ენის სწავლების პროგრამას გაეცნენ. აჭარის მთავრობის ხელშეწყობითა და აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, აღნიშნულ სკოლაში აფხაზური ენა უკვე ათი წელია ისწავლება.



სიტყვით გამოსვლისას სულხან თამაზაშვილმა მადლობა გადაუხადა საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ აფხაზური ენის სწავლება არ ნიშნავს მხოლოდ ენის დაუფლებას, ეს არის უდიდესი კულტურისა და ისტორიის გაზიარება.

ღონისძიებაზე, ასევე, სიტყვით გამოვიდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე, პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი.

**სოფელ ფერიის საჯარო სკოლაში აფხაზური ენის სწავლების პარალელურად, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობაში. ღონისძიების ფარგლებში, სკოლის თეატრალურმა დასმა მიუზიკლი „ლამპიონები“ წარმოადგინა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, აჭარის მთავრობის, აფხაზეთის მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები“.**

# და მაინც, გმადლობთ!..



**ერთი შეხედვით, მილანი – კორტინას 25-ე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე დიანა დევის – გლებ სმოლკინის მიერ რითმულ ცეკვებში დაკავებული მე-13 ადგილი წარუმატებლობად უნდა შეფასდეს, მაგრამ, ჯერ ერთი, აღნიშნულ დისციპლინაში ჯვაროსანთაგან ფორუმების ისტორიაში ნაჩვენები საუკეთესო შედეგია გასათვალისწინებელი და, განსაკუთრებით, მეორე ფაქტორი:**

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენმა წყვილმა რამდენიმე დღის წინათ გუნდურ ტურნირში ისრიალა, ცოტა დააკლდა საპატიო კვარცხლბეკზე ქართული დელეგაციის წევრთაგან პირველად შეზიჯებამდე და დაგვეთანხმებით, როგორც ფიზიკური, ისე, რაც მთავარია, ფსიქოლოგიური კონდიციების აღსადგენად დრო, უბრალოდ, აღარ ეყო.

ჰოდა, მადლობა ფინალში გასვლისთვის. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ევროპის მოქმედ ჩემპიონ **ნიკა ეგაძის** შესახებაც, რომლის დაღლილობაც კიდევ უფრო თვალსაჩინოდ შეიმჩნეოდა. მიზეზი ადვილად ასახსნელია – მას გუნდური ბრძოლის ჯერ მოკლე პროგრამაში, როცა პარტნიორები ფინალში გაიყვანა, ხოლო შემდეგ უკვე მედლის მისადგომებთან უდიდესი მორალური წნეხის დაძლევა მოუწია და არაა გასაკვირი, პირადი ტურნირის სტარტზე მე-15 პოზიცია რომ დაიკავა, თუმცა წინ სანუგეშო თავისუფალი პროგრამაა.

## მედლების ჩათვლა

**ნორვეგია** – 13 (7, 2, 4).
**აშშ** – 12 (4, 6, 2).
**იტალია** – 13 (4, 2, 7).
**შვეიცარია** – 7 (4, 1, 2).
**გერმანია** – 8 (3, 3, 2).
**საფრანგეთი** – 7 (3, 3, 1).
**შვედეთი** – 6 (3, 2, 1).
ავსტრია – 8 (2, 5, 1).
**იაპონია** – 8 (2, 2, 4).
**ნიდერლანდები** – 3 (1, 2, 0).
**სლოვენია** – 2 (1, 1, 0).
**ჩეხეთი** – 2 (1, 1, 0).
**კანადა** – 4 (0, 1, 3).
**ჩინეთი** – 3 (0, 1, 2).
**ახალი ზელანდია** – 2 (0, 1, 1).
**სამხრეთ კორეკა** – 2 (0, 1, 1).
**ლატვია** – 1 (0, 1, 0).
**პოლონეთი** – 1 (0, 1, 0).
**ბულგარეთი** – 2 (0, 0, 2).
**ბელგია** – 1 (0, 0, 1).
**ფინეთი** – 1 (0, 0, 1).



# თელავიდან ლიდერობამდე



**საკალათბურთო „ა" ლიგის მე-4 ტურის ბოლო შეხვედრა თელავში გაიმართა, სადაც ბურჯმა კასპის გრიფინი მიიღო. ორივე გუნდისთვის მოგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თელაველებს სეზონის წინ დიდი ამბიცია გააჩნდათ და 3 ტურის შემდეგ ერთადერთი გამარჯვებით ბოლოსწინა ადგილზე იყვნენ, გრიფინი კი შარშანდელი ფინალისტია და წელს ღიად აცხადებს, რომ „ა" ლიგის მოგება და სუპერლიგის საგზურის მოპოვება სურს.**

კასპელებს 3 ტურის შემდეგ 2 მოგება ჰქონდათ და თელავს 2 ქულის მოსაპოვებლად ესტუმრნენ. ამის გაკეთება გრიფინს არ გასჭირვებია. **გიორგი სიმონიშვილის** გაწვრთნილი გუნდი თავიდანვე რომ დაწინაურდა, ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვია. გრიფინმა საქმე მესამე პერიოდში უკვე მოათავა, როცა 25-ქულიან უპირატესობას დაეუფლა – 60:35. თელავი შინ თამაშობდა და მაყურებელი ზურგს კი უმაგრებდა, მაგრამ კასპის ლეგიონერები შეუჩერებელნი იყვნენ. გრიფინმა საბოლოოდ 99:89 გაიმარჯვა.

განსაკუთრებით **ალექს მეთიუზი** გამოირჩა, რომელმაც 36 ქულა, 7 მოხსნა და 7 პასი დააგროვა. **დანიელ რენსომმა** ორმაგი დუბლი – 24 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა. 21 ქულა, 7 პასი და 4 ჩაჭრა **კამანი დაუთის** ანგარიშზეა, თელავში კი ყველაზე მეტი – 20 ქულა და 7 მოხსნა **ჯეილენ დელკორტმა** მიითვალა.

კასპის გრიფინი ამ მოგებით პირველ ადგილზე გადავიდა, თუმცა ის 3 თანაბარი ბალანსის მქონე გუნდში ლიდერობს. ბლექ ფორტრესს, ლიბერთის და გრიფინს 3 მოგების წილ 1 მარცხი აქვთ. გრიფინმა ლიბერთი დაამარცხა და ფორტრესთან წააგო, ამ უკანასკნელს კი ლიბერთისთან ჯერ არ უთამაშია. შესაბამისად, ურთიერთშეხვედრებში მოპოვებული ქულებით (3) პირველზე გრიფინია, შემდეგ ბლექ ფორტრესი (2) მოდის, ბოლოში კი (მესამე ადგილზე) ლიბერთია (1).

მე-5 ტური 15 და 16 თებერვალს გაიმართება.



# მწარედაც, ალალადაც

**UFC-ის ჩემპიონმა ილია თოფურიამ ისლამ მახაჩევთან შესაძლო დაპირისპირებაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და განაცხადა, რომ დაღესტნელი ჯიგიტი მასთან ბრძოლას გაურბის.**

თოფურიას თქმით, ეს არის ჩხუბი, რომლის ხილვაც გულშემატკივრებს ყველაზე მეტად სურთ, თუმცა მახაჩევი შეთავაზებას ჯერ არ დათანხმებულა. **„ყველამ იცის, რომ ეს არის ბრძოლა, რომლის ნახვაც ყველას უნდა, მაგრამ რატომღაც ის ამას არ თანხმდება და ზედმეტად ბევრს ლაპარაკობს. ძალიან ადვილია ათასობით კილომეტრიდან საუბარი და ჩემი კრიტიკა, მაგრამ როცა ოქტაგონში ჩემს წინ დადგები, მიხვდები, რომ მე არ ვარ ჯეკ დელა მადალენა, არ ვარ დენ ჰუკერი და არც ის მებრძოლები, რომლებიც აქამდე გყავდა დამარცხებული,"** – განაცხადა თოფურიამ.

ქართველმა ჩემპიონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მახაჩევისთვის ეს სრულიად განსხვავებული გამოწვევა იქნება – **„მე რაღაც სრულიად განსხვავებული ვარ და როცა ჩემს მარჯვენა ხელს დაგარტყამ, მიხვდები, რომ ძალიან, ძალიან დიდხანს დაგეძინება,"** – დაამატა თოფურიამ.

**შეგახსენებთ,** რომ ბოლო პერიოდში აქტიურად იწერება იმის შესახებ, რომ თოფურიას შემდეგი ბრძოლის თარიღი და მეტოქის ვინაობა უკვე 90%-ით გარკვეულია და ის თეთრ სახლში გასამართავ ღონისძიებაზე **ჯასტინ გეიჯის** დაუპირისპირდება.

# ცვლილებებით ნიდერლანდებში

**შვეიცარიასთან 54:3 გამარჯვების შემდეგ, ბორჯღალოსნები ნიდერლანდებში გაემგზავრნენ, სადაც მასპინძლებთან გასამართავი შეხვედრისთვის ემზადებიან.**

2026 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე თამაშს ჩვენი გუნდი ამსტერდამში ჩაატარებს. „ნაციონალურ სარაგბო ცენტრში", რომელიც 1997 წელს გაიხსნა და 5 ათას მაყურებელს იტევს,შეხვედრა 15 თებერვალს, თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება.

მომავალი მატჩის წინ ბორჯღალოსანთა გაფართოებულ შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. გიორგი ახალაძე, ალექსანდრე ქუნთელია, ნიკოლოზ სუთიძე, გიორგი მელიქიძე და გიორგი ჯავახია შეთანხმების საფუძველზე საკუთარ კლუბებს დაუბრუნდნენ. მიღებული გადაწყვეტილება არ არის დაკავშირებული მოთამაშეთა სპორტულ კონდიციებთან, მოედანზე ნაჩვენებ თამაშთან ან დისციპლინურ საკითხებთან.




ცვლილებები უკავშირდება კლუბებთან მიმდინარე შეთანხმების პროცესს. ეროვნული ნაკრების შეკრებების ეფექტურად წარმართვა, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია კლუბებისა და მოთამაშეების პასუხისმგებლიან და წინასწარ შეთანხმებულ მოქმედებებზე, ასევე მათ სრულ ჩართულობაზე კომუნიკაციის პროცესში. გუნდს შეუერთდნენ ინგლისური „ექსეთერ ჩიფსის" ბურჯი ბაჩუკი ჭუმბაძე და „მონ დე მარსანის" მეორეხაზელი ლადო ჩაჩანიძე.

* * *

**ნიდერლანდებში პირველი სარაგბო კლუბი ჯერ კიდევ 1879 წელს დაარსდა, თუმცა ის მალევე საფეხბურთო კლუბად გადაკეთდა. მეორე მცდელობა 1918 წელს იყო და 1920 წელს რაგბის კავშირიც დაარსდა, მაგრამ 3 წლის შემდეგ მან ფუნქციონირება შეწყვიტა და 1932 წელს ახლიდან დაარსდა.**

საწყის წლებში ნიდერლანდებში რაგბი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, მაგრამ ეს პროცესი მეორე მსოფლიო ომმა შეაჩერა, რის შემდეგაც ქვეყანაში სხვა სპორტის სახეობებმა უფრო დიდი პოპულარობა ჰპოვა. მიუხედავად ამისა, დღევანდელი მონაცემებით ქვეყანაში 100-მდე სარაგბო კლუბი და 15 ათასამდე მორაგბეა რეგისტრირებული.

ნიდერლანდების ნაკრებმა პირველი სანაკრებო თამაში 1930 წელს ბელგიასთან გამართა (0:6), ყველაზე დიდი სხვაობით 2025 წელს შვეიცარიასთან გაიმარჯვა (76:0), თავად კი ინგლისთან დამარცხდა (1998 წელს 0:110).

ბორჯღალოსნებს ნიდერლანდების წინააღმდეგ აქამდე 9-ჯერ უთამაშიათ. პირველად მათ ფირას (რაგბი ევროპის წინამორბედი) ეგიდით, 1995 წელს გადავეყარეთ. ეს იყო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი პირველი გასვლა ევროპაში და საქართველო 30-ე წუთისთვის 3:0 იგებდა, თუმცა მერე 9 უპასუხო ლელო გაუშვა – 3:55.

მას შემდეგ მეტოქეს 8-ჯერ ვეთამაშეთ და ყველა ჯერზე უშანსოდ დავამარცხეთ. 2000-2002 წლებში ნიდერლანდებს ერთა თასზე სამჯერ ვერკინეთ და სამივეჯერ ისე მოვიგეთ, ლელო არ გაგვიშვია (41:6, 32:3 და 88:0). ნიდერლანდები რაგბი ევროპის ელიტას 2021 წელსღა დაუბრუნდა და ბოლო ხუთ თამაშში ის ახერხებდა ლელოს გატანას, მაგრამ გამარჯვებული მუდამ საქართველო რჩებოდა (48:15, 72:10, 40:8, 31:10 და 40:7).

**ამრიგად, ნიდერლანდებს სულ 9-ჯერ ვეთამაშეთ (5 შინ და 4 სტუმრად) და 8 შემთხვევაში გამარჯვება მოვიპოვეთ. გატანილ-გაშვებული ლელოები 62/15-ზეა, ხოლო ქულები 395:114-ზე. ყველაზე დიდი სხვაობით (88:0) 2002 წელს თბილისში, „ეროვნულზე" გავიმარჯვეთ, ამსტერდამში კი ყველაზე დიდი სხვაობა 2022 წელს დაფიქსირდა (72:10). შარშან მეტოქეს „ავჭალაზე" 40:7 ვძლიეთ.**

**წლევანდელი რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ ტურში, ნიდერლანდებმა 7 თებერვალს ესპანეთს უმასპინძლა და 33:51 დამარცხდა. მსოფლიო რეიტინგში ნიდერლანდები 56,86 ქულით 27-ე ადგილზეა, საქართველო კი 73,18 ქულით მე-13-ე პოზიციაზეა.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სპორტის რედაქციის თანამშრომლები და საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსჟა-ს პრეზიდენტის, ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და მეგობრის გიგა გვენცაძის დედა**



**ჯანიკო ჯანელიძე-გვენცაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

# მირქმა (მიგებება) მაცხოვრისა — ლამპრობა



**15 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს საუფლო დღესასწაულს ზეიმობს, რომელიც მირქმის (მიგებების) სახელითაა ცნობილი.**

...ცნობილია, რომ, როცა უფალი იესო ქრისტე 40 დღის შეიქმნა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ წესისამებრ, ახალნამშობიარევ დედას 40 დღე არა აქვს უფლება ტაძარში შესვლისა, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვები. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

ტაძარში ჩვილით მისულ მარიამს და მართალ იოსებს მიეგება სულიწმინდის მადლით ცხებული სიმეონი. იგი იყო 70 ებრაელთაგანი (მეცნიერი), რომელთაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნათ ბიბლია.

...სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა, და როცა მიუახლოვდა ადგილს, სადაც წერია: „აჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, ეგონა, რომ წიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს ეშვა ძე, სვიმეონმა ადგილის შეცვლა განიზრახა.

მოულოდნელად უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: **„ვერ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ ნახავ ქალწულისაგან შობილ მაცხოვარს“. 360 წლის იყო სვიმეონი, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ მრავალ ბავშვს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება: „აწ განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი“.**

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმინდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყოველ მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის უფლება, — და ეს ხდება ტაძარში, აღსარებისა და ზიარების დროს.

**P. S. 14 თებერვალს არის მიცვალებულთა ხსენება.**

**15 თებერვალს ხორციელის შვიდეულია.**

**15 თებერვალს საშინელი სამსჯავროს ხსენება და ხორცის აღება.**

**16 თებერვლიდან მთელი კვირა ყველიერია.**

**18 თებერვლის საღამოდან იწყება ეფრემ ასურის ლოცვა.**

**23. II. დიდმარხვის პირველი შვიდეულის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს, დიდ სერობაზე სრულდება წმ. ანდრია კრეტელის დიდი კანონი.**

გიული ლიპარტია

# ლაშა ჯუღელი: წაქცეულს ფეხს მირტყამდა!

**4 ოქტომბრის ორგანიზატორების ეპიზოდზე მოწმეები იკითხებიან. ბრალდების მხარემ სასამართლოში ძალადობის შედეგად დაშავებული სამართალდამცველები გამოიძახა.**

ვაკე-საბურთალოს პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა დეტალურად გაიხსენა, როგორ ძალადობდნენ აქციის მონაწილეები პოლიციელებზე. ლაშა ჯუღელმა დარბაზში მყოფ ბრალდებულებს შორის მასზე თავდამსხმელიც ამოიცნო.

**„ჭონქაძეზე ვიმყოფებოდი, რადგან მომიტინგეები იყვნენ რუსთაველზე. ჩემს დანაყოფთან ერთად ვიმყოფებოდი. 19:00 საათიდან გადმოიცა რაციაზე, რომ მიემართებოდნენ პრეზიდენტის სასახლესთან. რაციით გავიგეთ, რომ მომიტინგეები შეჭრას აპირებდნენ. გავიგეთ, რომ ღობეს ანგრევდნენ. დავიძარით ჭონქაძიდან. სასახლემდე არმისული, დაგვიწყეს ქვების სროლა. ჯოხებს გვირტყამდნენ, შეურაცხყოფას გვაყენებდნენ. ცდილობდნენ, პრეზიდენტის სასახლეში შესვლას. რომ დაგვინახეს, მიხვდნენ, რომ მივიდოდით, ვეღარ შეძლებდნენ და ეს იყო მიზეზი. 15 კაცამდე მირტყამდა მე, პირადად. ერთ-ერთი ამ დარბაზიდან ამოვიცანი. 50 წლამდეა, ჩემზე მაღალი, გური ჟვანია. მახსოვდა სახეზე. ვიდეოს ყურების შემდეგ ზუსტად ამოვიცანი — წაქცეულს ფეხს მირტყამს. სხვა პირებიც ამოვიცანი.**

**ვცდილობდით სასახლეში შესვლას, რომ არ შეჭრილიყვნენ, დაგვიზიანეს ძალიან ბევრი თანამშრომელი. მოსული ვიყავით, თითქმის, როდესაც დავინახე, რომ ჩემს თანამშრომელს ურტყამდნენ. დავბრუნდი. ყვიროდნენ, ფორმა გავხადოთ ყველასო. შემომახიეს ფორმა მეც და ჩემს თანამშრომლებსაც. გვეძახდნენ რუსეთის მონებს. დაზიანებები მქონდა მეც, ძირითადად — თავზე“,** — განაცხადა **ჯუღელმა.**

# გამოვლინდა 7 არარეგისტრირებული ობიექტი

**სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის დეპარტამენტის ინსპექტორებმა სხვადასხვა პროფილის 7 არარეგისტრირებული ობიექტი გამოავლინეს.**

„სააგენტოსაგან მინიჭებული აღიარებისა და ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე საქმიანობდნენ:

- **ფიზიკური პირი ფ. ტ. — ფრინველთა სასაკლაოზე გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები, ფრინველი იკვლებოდა ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე, დაილუქა საეჭვო წარმომავლობის ფრინველის ხორცი;**
- **ფიზიკური პირი დ. ა. — ფრინველთა სასაკლაოში გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები;**
- **ფიზიკური პირი დ. მ. — ცხოველთა სასაკლაოზე გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები, აგრეთვე ხორცი ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე, რომელიც დაილუქა;**
- **შპს „ბაკური“ — ქათმის სარეალიზაციო სივრცეში გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები; ბიზნესოპერატორი, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების სრული დარღვევით, დაკვლის ადგილზევე უწევდა რეალიზაციას ფრინველის ხორცს;**
- **ფიზიკური პირი ნ. ს. — ობიექტზე გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები, დაილუქა საეჭვო წარმომავლობის ხორცი ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე.**
- **ინდმეწარმე ი. კ. — საქმიანობდა ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციისა და აღიარების გარეშე, ხორცპროდუქტების საწარმოში გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები**
- **ფიზიკური პირი მ. გ. — ცხოველთა არალეგალურ სასაკლაოზე გამოვლინდა სხვადასხვა შეუსაბამობები, დაილუქა ხორცი ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე.**

სახელმწიფო კონტროლის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე გატარდა კანონით დადგენილი ღონისძიებები, ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ და შეუსაბამობების აღმოფხვრამდე შეუჩერდათ საწარმოო პროცესი“.

## სულთათანა

# ნინო ცირამუა



**შარშან ქუთაისში, „ბიბლუსის“ წიგნის მაღაზიაში, მეგობრის ახლადგამოცემული ზღაპრების წიგნი მოვიკითხეთ.**

**— აღარ გვაქვს, მომავალ კვირაში ისევ ველოდებით, შემოგვიარეთ. თქვენ დღეს მეთერთმეტე ბრძანდებით, ვინც ამ წიგნს კითხულობს. რა ხდება?**

**— არაფერი განსაკუთრებული, ავტორი ჩვენი თანაქალაქელი ჟურნალისტია. რამდენიმე ზღაპარი სასკოლო პროგრამაშიცაა შეტანილი, ახლობელი ბავშვებისთვის საჩუქრად გვინდოდა...**

**განმეორებითი ვიზიტის დროს გამყიდველი გოგონა ისე შეგვხვდა, როგორც ახლობელს — ერთი ეგზემპლარი დედაჩემსაც ვუყიდე, გაზეთ „ქუთაისის“ აქტიური მკითხველი იყოო, — გვითხრა და ჩვენთვის გადანახული წიგნები გადმოგვცა.**

**ნინო ცირამუა — ეს სახელი და გვარი ოცდაათი წელიწადი ჟღერდა ქუთაისში, ალმასივით მჭრელი და შემართული საგაზეთო პუბლიკაციების ქვეშ... მკითხველი ელოდა მის მწვავე, კრიტიკულ წერილებს, ან პირიქით, სიყვარულით და სითბოთი სავსე პორტრეტებს, ერთი შეხედვით, უჩინარი პროფესიის ადამიანებზე.**

**სიტყვები ხშირად კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და როგორც წყალი თითებს შორის ისე ქრებიან, მაგრამ როცა ეს სიტყვები ნამდვილად ეკუთვნის ადამიანს, ისინი ბაჯაღლო ოქროდ იქცევიან.**

**ნინო ღირსებით სავსე პროფესიონალი ჟურნალისტი, სანდომიანი, კეთილი, ნამდვილი მეგობარი, საკუთარ სახლში ლიტერატურული საღამოების მასპინძელი, მეუღლის — ბორის გაბელაიას მეგობრების ღიმილით შემხვედრი, სავიზიტო ბარათი ქალაქში ჩამოსული უცხოელი სტუმრებისთვის, ორი ღირსეული შვილის — დათოს და ანას დედა, ჩინებული ზღაპრების ავტორი.**

**ნინო ქუთაისში დაიბადა. დაამთავრა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ელექტრომექანიკურ ქარხანაში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციაში. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ჟურნალისტი. მისი პირუთვნელი კალამი მუდამ მიმართული იყო სიმართლისა და სიკეთისაკენ. იდეოლოგიური პრესის პირობებშიც კი, თავისი ნიჭიერებითა და პატიოსნებით აღწევდა უდიდეს პოპულარობას. ბევრს ჰქონდა მისი იმედი. ისე, როგორც ერთხელ რედაქციის ფართო დერეფანში მოფარფატე იმ შაოსან მოხუცს, კაბინეტიდან კაბინეტში თავშერგული რომ იხვეწებოდა, „ცირამოვას ქალი“ სადანე ზის, მასტავლეთ, მაგი თუა ჩემი მშველელი ახლაო.**

**ნინოს წერილები, რომლებიც გაზეთ „ქუთაისის“ 70, 80, 90-იანი წლების ძველმა კომპლექტებმა შემოგვინახეს, ბევრს გვიამბობს მის პროფესიონალიზმზე, ერუდიციაზე, პუბლიცისტური ჟანრების ფლობაზე, მდიდარ ლექსიკაზე, წერის განსაკუთრებულ კულტურაზე.**

**უყვარდა სიურპრიზების მოწყობა, მეგობრების გახარება. ყველაზე დიდი სიურპრიზი ის იყო, გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ დაბეჭდილი თავისი წიგნი „თეთრი ქალაქი“ რომ გამოგვიგზავნა თბილისიდან და საუკეთესო საბავშვო მწერლის ამპლუაში მოგვევლინა.**

**ჩვენ წინაშე აღმოჩნდა შესანიშნავი ზღაპრები სიკეთესა და ბოროტებაზე, ტკივილსა და იმედზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, ოცნებებზე.**

**ძველი ჟურნალისტის ნაცადი ხელწერა და მოქალაქეობრივი ხედვა იკითხება ბოლო აბზაცის კონტექსტში: „მართალია, ზღაპრის ბოლო კეთილია, ცხოვრება კი არ ჰგავს გამოგონილ, ჯადოსნურ სამყაროს, მაგრამ მუდამ ფასეულია ზნეკეთილობა და სათნოება, ძმობა და მეგობრობა, გულმოდგინება და გამრჯეობა, სიმამაცე და სამართლიანობა, გულმოწყალება და თანადგომა. გჯეროდეთ ამ ღირებულებების, თუ ირგვლივ ბევრი სიკეთე იქნება, ბოროტებისთვის ადგილი აღარ დარჩება და ჩვენი ქვეყანაც „თეთრ ქალაქს“ დაემსგავსება.“**

**აი, ამ შესანიშნავი წიგნით გამოგვეთხოვა ნინო ცირამუა. კიდევ ბევრი კეთილი ჩანაფიქრი ჰქონდა, რომელთაც, სამწუხაროდ, ასრულება აღარ უწერია...**

**14 თებერვალს მისი კეთილშობილი სული ზეციურ საქართველოს შეუერთდება. ადამიანი იბადება ერთხელ და ეს დაბადება სიყვარულით ნასაზრდოები სიხარულია. ნინო თავად იყო სიყვარული და იქნება...**

**სიყვარულს საზღვრები არა აქვს... ის მარადიული და უკვდავია.**

**ჰოდა, თუ უკვდავია, შენც ჩვენთან ხარ, ნინო!**

მეგობრები

**სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი**

# ტარიელ ვახტანგის ძე კაკულია

**სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექცია და კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.**

**პანაშვიდი: 13 თებერვალი, გასვენება, 14 თებერვალი.**

**მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-5 კვარტ., კორპ. 13, ბ. 14**



# ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ფუძემდებლის აშოტ I დიდი კურაპალატის ხსენების დღე!!!

**11 თებერვალს დაწესებულია დიდი ქართველი მეფის და ერისმთავრის, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ფუძემდებლის, მოწამეობრივად აღსრულებული და წმინდანად შერაცხილი მონარქის, აშოტ I დიდი კურაპალატის ხსენება,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** სოციალურ ქსელში წერს.

როგორც პაპუაშვილი აღნიშნავს, ზუსტად 1 200 წელი შესრულდა წმინდა მეფის აღსასრულიდან და სიმბოლურია, რომ ამ მრგვალი თარიღის აღნიშვნა დაემთხვა მიმდინარე საიუბილეო წელს, საქართველოს გაქრისტიანების 1 700 წლის ღონისძიებებს.

**„17 საუკუნის წინ საქართველოში შემოვიდა და იქადაგა წმინდა ნინომ, მან მოაქცია ქართლი, გააცოცხლა ქრისტეს მოციქულთა ნაკვალევი, გაანათლა წმინდა მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, ხოლო ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აქცია.**

**შეუძლებელია ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის მოთხრობა ქრისტიანობის გარეშე, მონარქიის გარეშე, წმინდა და თავდადებული მეფეების და დედოფლების გარეშე. სწორედ ასეთი იყო დიდი მეფე აშოტ პირველი, მეფე ქართლისა, ტაო-კლარჯეთისა, ბაგრატიონთა დინასტიის სამეფო ტახტზე დამამკვიდრებელი. მრავალბრძოლაგამოვლილი მეფე ზუსტად 12 საუკუნის წინ, დღევანდელ დღეს მოღალატეებმა დოლისყანის მონასტრის ტაძრის საკურთხეველში გამოასალმეს სიცოცხლეს. გადმოცემა გვეუბნება,**



**რომ წმინდა მეფის დაღვრილი სისხლი მრავალი ასწლეულის განმავლობაში ტაძრის ქვაფენილს არ სცილდებოდა. საუკუნოდ იყოს ჩვენი დიდი და წმინდა წინაპრების დიდება და ღვაწლის ხსენება!“** – წერს **პაპუაშვილი.**

# „დავით აღმაშენებლის ეპოქის ხელნაწერი მემკვიდრეობა“

**დავითობის დღის აღსანიშნავად, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნა გამოფენა „დავით აღმაშენებლის ეპოქის ხელნაწერი მემკვიდრეობა“.**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, გამოფენა ეძღვნება მეფე დავით IV აღმაშენებლის ცხოვრებასა და სახელმწიფოებრივ-კულტურულ მოღვაწეობას და მიზნად ისახავს მისი ეპოქის ხელნაწერი მემკვიდრეობის წარმოჩენას.

საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილია დავით აღმაშენებლის ავტორობით შექმნილი თხზულება „გალობანი სინანულისანი“, აგრეთვე მის გამეფებამდე გადაწერილი სასულიერო კრებულები, რომლებშიც



დავითი მოხსენიებულია მამასთან, მეფე გიორგი II-სთან და მამიდასთან, ბიზანტიის იმპერიის დედოფალ მართა-მარიამთან ერთად. ექსპოზიციაში ასევე გამოფენილია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა, ერთ-ერთი ადრეული ისტორიული საბუთი, სადაც მეფე დავითი „აღმაშენებლის“ ტიტულით არის მოხსენიებული, და სხვა მნიშვნელოვანი ხელნაწერი ძეგლები.

**გამოფენა 20 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება. გამოფენის პარალელურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამა სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობისათვის ქართული ხელნაწერი კულტურისა და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის პოპულარიზაცია.**

# „ქებათა ქება“ – უნიკალური და მნიშვნელოვანი ილუსტრირებული ანთოლოგია

**ქართულენოვან საგამომცემლო სივრცეს შეემატა „ქებათა ქების“ ქართული თარგმანების ილუსტრირებული ანთოლოგია,** – ინფორმაციას სოციალურ ქსელში „თსუ-ს ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში“ ავრცელებს.

ანთოლოგიაში შესულია „ქებათა ქების“ მეოცე საუკუნეში შესრულებული – **გერცელ ბააზოვის, ნათან ელიაშვილის, გრიგოლ ფერაძის, ზურაბ კიკნაძის, იცხაკ დავიდის, შალომ დავიდის, აბრაამ მამისთავლოვისა და დავით წერედიანის** – ქართული თარგმანები;




**„თითოეული ნაშრომი უაღრესად საინტერესოა ორიგინალის ფორმის, ენობრივი ქსოვილის, პოეტური ენის, სტილის, მხატვრული სახეებისა და სხვ. ქართულ ენაზე გადმოტანის კუთხით. ყველა თარგმანი უნიკალური და მნიშვნელოვანია ქართულად თარგმნილი ბიბლიის ისტორიისათვის, სამეცნიერო და კულტუროლოგიური თვალსაზრისით“,** – წერია ინფორმაციაში.

# ქართველთა მონასტრის ახალი ფოტოკოლექცია – ეროვნული არქივის ვებგვერდზე

**იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის ამსახველი ახალი ფოტოკოლექცია საქართველოს ეროვნული არქივის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

ეროვნული არქივის ინფორმაციით, ონლაინპლატფორმაზე წარმოდგენილია 2023 წელს იერუსალიმში ეროვნული არქივის სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში გადაღებული ფოტომასალის ნაწილი: ჯვრის მონასტრის ინტერიერი, ექსტერიერი, კედლის მხატვრობა, ხატები; ფრესკებს შორისაა ისტორიულ პირთა პორტრეტები, სცენები საღვთო წერილიდან, საქტიტორო წარწერები.

**უცხოეთში არსებულ ქართულ სამწიგნობრო კერებს შორის იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. პროხორე (გიორგი) ქართველის მიერ XI საუკუნეში აშენებული ეს ტაძარი საუკუნეების მანძილზე ქართველი მეფე-დედოფლების, დიდგვაროვნებისა და სასულიერო პირების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო.**

**პროექტი „ეროვნული არქივის ექსპედიციები“, რომელიც 2014 წლიდან მიმდინარეობს, საქართველოს ისტორიული ძეგლების შესახებ ვიდეო და ფოტომასალის თავმოყრასა და საარქივო ფონდების თანამედროვე დოკუმენტებით შევსებას ითვალისწინებს. ამ დრომდე გადაღებულია 20-ზე მეტი ისტორიული ძეგლი.**





# ჯგუფური გამოფენა – HEARTBEAT

**14-დან 17 თებერვლამდე, შალვა ძნელაძის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში, ჯგუფური გამოფენა – Heartbeat გაიმართება. გამოფენა 14 თებერვალს, 15.00 საათზე გაიხსნება.**

შალვა ძნელაძის მუზეუმის ინფორმაციით, გამოფენაში მონაწილეობენ: **მანჩო ელიზარაშვილი, ქეთი აზელაშვილი, ქეთი თავდუმაძე, სალი ყვირალაშვილი, ეკა რუხაძე, გულიკო წულუკიძე, თამარ სუხიტაშვილი, ხათუნა სონღულაშვილი, ზურა გიკაშვილი, დათო თელია, ლევან ვეკუა, ბეჟან ბოტკოველი.**

**„გამოფენაზე გაეცნობით და შეიძენთ მხატვრების მიერ შექმნილ განსაკუთრებულ ნამუშევრებს და დაათვალიერებთ შალვა ძნელაძის მუზეუმს, სადაც ყოველთვის დაგხვდებათ საინტერესო და სასიამოვნო ატმოსფერო“,** – წერია მუზეუმის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. **მისამართი: სოფელი დიღომი, სვეტიცხოვლის ქ. N1.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაზელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოქეჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
**„ფავორიტში“**
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 16 თებერვალს**